№ 71 პარასკევი 20 ნოემბერი 1909 წ.

# მომავალი

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 71 პარასკევი 20 ნოემბერი 1909 წ.

ბიბლიოთეკა

## „მომავალი“

გამოდის ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა

გაზეთი ღირს: როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მანეთი. 1 ნოემბრიდან წლის ბოლომდე თფილისში 1 მ. 60 კ. თფილისს გარეთ 1 მან. 80 კ. თვიურათ: თფილისში 80 კ., თფილისს გარეთ 90 კაპ. ცალკე ნომერი—5 კაპ. ადრესის გამოცვლა ღირს 40 კაპ. (შეიძლება მარკებითაც).

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კ.; სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 5 ს.—მდე 3 მ. ხუთი საათის შემდეგ—მეტი. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველდღე, დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე. კვირა-უქმეებში დილის 11—12 საათამდე. რედაქცია ხელმოუწერელ წერილებს არ ბეჭდავს. დაუბეჭდავ მცირე წერილებს არ ინახავს და მათ შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას და მოლაპარაკებას არ კისრულობს.

რედაქციის ადრესი: რუსის ქუჩა, სახლი № 3, ზემო სართულში.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი:

Тифлисъ, тип. „Шрома“, Калистрату Конст. Цуладзе.

## თფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით. ღია არის ყოველ დღე გარედან მოსიარულე ავათმყოფთათვის.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე ვ. დ. შინაგან და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა კვირისა 11—12 ს.

გედევანიშვილი მ. ა. ნერვების და ელ. ორშაბ., ოთხშ. და პარ. 10½—11.

გურკო გ. ა. შინაგანი. შაბათს 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბათობით 9—10 ს.

კარშინი ა. ა. კანისა და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინაგ., სამშ. და შაბ. 10—12.

მანსვეტოვი ვ. მ. შინაგანი. ორშაბ., ოთხშ. და პარ. 1—2.

მელიქიშვილი ნ. მ. ქირურგ. და დედაკ. ყოველ დღე 12—1 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს. თვალის. ორშაბათ. ოთხშ. და პარსკ. 2—2½ ს.

ფირადოვი რ. ზ. ქირურგ., ყოველ დღე 11—12 ს.

პოპოვი ბ. ა. ყურის, ყელის და ცხვირის, ყოველ დღე, გარდა პარ. 2—2½ ს.

რცხილაძე ნ. კბილ. ყოველ დღე 9—10.

სობოლევსკი ბ. ვ. ქირურგ. ყოველ დღე 9—11 ს.

თიკანაძე ი. ე. დედაკაც. სამებიო. ყოველ დღე 1—2 ს.

სამკურნალოს აქვს საკუთარი მიკროსკოპიული და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი გ. ფედორჩოვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., სინათლით 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია, კონსულტაცია, ელექტრონით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვ. (100—41)

## ვოგზლის კერძო სამკურნალო

ღია ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვოგზლის ქ., № 8; ხ. კონიხმანაშვილის (ტელეფონი 695)

ექ. ს. ბაგრატიძე: კბილის ავათმყ. ყოველ დღე 10—11 ს.

ექ. ი. ბოჭორიძე: ყოველ დღე 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ. ავათმყ.

ექ. ა. ნ. დიასამიძე: ყოველ დღე 11½—12½ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

ექ. ნ. მ. მელიქიშვილი: ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

ექ. ბ. ა. პოპოვი: ყოველ დღე, გარდა კვირისა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

ექ. ა. ს. მუსხელიშვილი: სამშაბათს ხუთ. და შაბათ 2—2½ ს.; თვალის ავათმყოფ.

ექ. ს. ფედორჩოვი: ყოველ დღე, გარდა კვირისა 11—12 ს. შინაგანი და ბავშვ. ავათმყ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით. (100—41)

## მკერვალი ქალი

ვღებულობ საკერავებს: ქალებისა და ბავშვების ტანისამოსს, აგრეთვე ყოველ ნაირ თეთრეულებს.

ადრესი: კირპიჩნი პერეულოკი, № 2.

ქართული ავლაბრის თეატრი წარმოდგენა № 9.

(დირექცია ამო-ხარაზიანი)

შაბათს, 21 ნოემბერს, 1909 წ.

აღსანიშნავათ იმისა, რომ წელს შესრულდა 30 წელიწადი მას შემდეგ რაც ავქსენტი ცაგარელმა დასწერა „რაც გინახავს ველარ ნახავ“

ავლაბრის ქართული წარმოდგენების მმართველი ამხ—ბა ნ. გაბუნია-ცაგარლისა და ს. სვიმონიძის მონაწილეობით გამართავს საიუბილეო წარმოდგენას. წარმოდგენილ იქნება

## „რაც გინახავს ველარ ნახავ“

კომედია 3 მოქმ. ავქ. ცაგარლისა.

წარმოდგენის დაწყებამდის ია. ეკალაძე წაიკითხავს ასიკო ცაგარლის ბიოგრაფიას.

წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ✦ ადგილების ფასი 10 კ.-დან 80 კ.-მდე.

რეჟისორი ს. სვიმონიძე. გამგე თ. ნასიძე

კბილის ექიმი

## რომანიშვილი—დგებუაძისა

იღებს ავათმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასათ. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ახალი ბინა: აგურაის ქუჩა № 34.

## გამოცდილი მასწავლებელი.

ამზადებს და წვრთნის მოწაფეებს ყველა სასწავლებლებისათვის

იკითხეთ „მომავალის“ რედაქციაში, რუსის ქუჩა 3. (0—32)

კბილის ექიმი

## ს. ვამაყმაძე

დილით მიიღება ავათმყოფები 11 საათიდან 2 საათამდის. საღამოს 5—7 ვერის დაღმართი სახ. 15.

კბილის ექიმი

## ი. შ. ჭანტურია

იღებს ავათმყოფებს დილით 8—9 ს. საღამოთი 3—7 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათ. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს).

## მმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

შაბათს, 21 ნოემბერს, სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ სექციის მიერ ქ-ნ ელ. ჩერქეზიშვილის, ბ-ნ ს. ივანიძის და ი. იმედაშვილის (ხაშმელი) მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

## ციმბირელი

კომ. 4 მოქ. ა. ცაგარლისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ჩერქეზიშვილი, ს. რომანიშვილი-დგებუაძისა, მ. ქართლელი, ე. ჯაბაურისა, თ. რომანიშვილი; ბ-ნნი: ივანიძე, იმედაშვილი-ხაშმელი, იორდანაშვილი, მ. ფირუმიანი, სოსო რომანიშვილი, გ. ჯაბაური და სხვა.

ადგილების ფასი ერთი შაურიდან ათ შაურამდეა. ✦ დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მორიგი წევრნი: სონა რომანიშვილი. ივანე დურგლიშვილი.

რეჟისორი კოტე ყიფიანი.

შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება 28 ნოემბერს. წარმოდგენილი იქნება პირველათ ახალი პიესა „იმედის დაღუპვა“

## თფილისის სახაზინო თეატრი

საოპერო ამხ. ანტონ ეიხენვალდის გამგეობით დღეს გენერალური რეპეტიცია ოპ. „ტაისი“, ამიტომ წარმოდგენა არ იქნება. შაბათს, 21 ნოემბერს gala—წარმოდგენა პირველათ თფილისში მასსენეს „ტაისი“ მუსიკალური დადგმა ნ. ა. მიკლაშევსკისა. მონაწილეობენ ქ-ნნი: დე-ვოს-სობოლევა, ელაგინა, ფერრარი; ბ-ნნი: დეპიანენკო, კორჩმარევი, კუზმინი, სოკოლსკი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ფასები ჩვეულებრივია. კვირას, 22 ნოემბერს ორი წარმოდგენა: დილით დაკლებულ ფასებში 20 კ.-დან „კარმენი“, საღამოს „ნერონი“. მზადდება განსაახლებლათ «სიყვარულის დამე». მზადდება წარმოსადგენათ «გამარჯვებული სიყვარულის სიმღერა».

## ბათუმში რკინის გზის მკაფი

გადმოვიდა ჩემ ხელში, ამიტომ ვაცხადებ რა, რომ შეიძლება ჩემთან შეძენა ყოველ ნაირი ქართული და რუსული ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოების, როგორც ადგილობრივის, აგრეთვე სატახტო ქალაქის ჟურნალ-გაზეთებისა, წიგნებისა და საუკეთესო ღია წერილებისა. აგრეთვე ჩემთან მიიღება ხელის მოწერა გაზეთებზე და გაზეთებში დასაბეჭდი სხვადასხვა განცხადებები, რომელიც დაუყოვნებლივ იქნება ასრულებული. ვინც ჩემგან თვიურათ გაზეთს გამოიწერს, იმას გაზეთი ჩვენი ხარჯით თავის სახლში მიუვა. საჭიროა გამოწერა—შეწყვეტის დროს ერთი კვირით ადრე განცხადება.

შკაფი ღია გვექნება მთელი დღის განმავლობაში.

(10—3) გამგე გიორგი მახარაძე.

დ. ჭიათურაში კბილის ექიმი

## ე. ტ. ლორის-მელიქოვი

ღებულობს ავათმყოფებს დილის 10—2 საათამდე და ნაშუადღევის 4 საათიდან 8 საათამდე.

ადრესი: გ. გაჩეჩილაძის სახლი, ვოგზლის ახლო.

ქალაქის ბირჟის დარბაზში

კვირას 22 ნოემბერს, გაიმართება

## საცეკვაო საღამო

მუსიკით და საზანდრით, გაბუნია-ცაგარლის და ვასო კავსაძის მონაწილეობით. შესასვლელი ფასი 1 მ. 10 კაპ. მოწაფეთათვის—50 კაპ. დასაწყისი საღ. 7 საათზე.

საღამოს გამგე კნ. ნინა ვასილის ასული ფალავანდოვისა. (2—1)

## ავტომობილები

ვისაც სურს შვეიცარიის საუკეთესო ავტომობილის ფაბრიკებიდან შეიძინოს ავტომობილი, ლანდო, კარეტა, კალიასკა, ღია თუ დახურული, ოჯახისთვის თუ საბირჟოთ.

ეტლი 5 ან 12 ადგილიანი და სხვა და სხვა

მოგვმართოთ შემდეგი ადრესით: „Herrn Bendianidse, Automobilfabrik «AJax» A. G. Hirschengraben, 80 «Zürich».

რადგან ამ ცნობილ ფაბრიკაში ვმუშაობ, შემიძლია მსურველს ფაბრიკის ნაკლებ ფასში ვაყიდვინო.

დამატებითი ცნობები «მომავალის» რედაქციაში. ბენდიანიძე. (0—14)

## საინტერესო გამოგონება

მაქვს რამდენიმე გამოგონებანი, რომლებზედაც 16 წელიწადია ვმუშაობ და ეხლა მსურს გავაკეთო ერთი მათგანის „მოდელი“, სახელდობრ ჰაერში მფრინავი ელექტრონის გემი, „პეტერბურგის ჰაერში საფრენ მანქანათა სამხედრო პარკში“ წარსადგენათ, რის საშვალება მე არა მაქვს, ამიტომ მივმართავ დაინტერესებულ პირთ დამეხმარონ და დაწყებული საქმე ბოლომდის მიმაყვანინონ. მოდელის გაკეთება დაჯდება 300 მანეთამდე, გაკეთდება ორი თვის განმავლობაში.

გ. გ. ასლანოვი.

ადრესი: მიხეილის პროსპექტი, საეკლესიო სახლი № 8. (5—3)

## იაფათ

იყიდება ს. ნიგოითში (გურიაში) რკინის გზის სადგურის ახლო საუცხოვოთ მორთულ-მოწყობილი სამოსახლო: დიდი ეზო, 5 ოთახიანი ოდა—სახლი, დიდი სამზარეულო სახლი, 2 ბეღელი, 2 სასიმინდე კარგათ მოწყობილი წისქვილი, წყლის ჩამური და სხვა საოჯახო შენობები. ეზოში დარგულია სხვა და სხვა კარგი ჯიშის ხეხილები. აღმოსავლეთით აკრავს 15 ქცევიანი მთა-ადგილი, ვენახით და ხეხილებით გაშენებული, კარგი ჰაერით და სახნავ-სათესით. სამი მხრიდან ჩაუვლის ფართე საურმე შარა-გზა.

პირობების გაგება შეიძლება ს. ნიგოითში მღვდელ ე. კალანდარიშვილთან და თფილისში, „მომავალის“ რედაქციაში ს. კ—ან. 0—თ—25

## სახელმწიფო დუმა

(სააგენტოს დეპეშებიდან)

18 ნოემბერი

**სხდომა მეცხრამეტე.**

სახელმწიფო დუმის მეცხრამეტე სხდომაზე განაგრძეს პიროვნების ხელშეუხებლობის შესახებ კანონ-პროექტის განხილვა. პირველათ ლაპარაკობს ძიუბინსკი. ის ამბობს, რომ ეს კანონ-პროექტი აშენებულია ადმინისტრაციის თვითნებობაზე და პიროვნების ხელშეუხებლობა მხოლოდ მოჩვენებითია. ამ კანონ-პროექტის დამტკიცება, ისე, როგორც ეს კომისიამ წარმოადგინა, მრავალ მილიონ ხალხზე ნამდვილი დაცინვა იქნება. ხალხი დარწმუნდება, რომ ის არაფერს არ უნდა ელოდეს მესამე დუმიდან და თვით უნდა მოიპოვოს თავისუფლება. როდიჩევის სიტყვით პიროვნების ხელშეუხებლობის კანონში მკაფიოთ უნდა იყოს აღნიშნული, რომ არც ერთი თავისუფალი კაცის დატუსაღება არ შეუძლია არავის გარდა სასამართლოსი. შემდეგ როდიჩევი სპეციალურათ ეხება 15 მუხლს და ამბობს, რომ ამ მუხლის ძალით ყველა მოქალაქეს უნდა მიენიჭოს სრული თავისუფლება აირჩიოს საცხოვრებელი ადგილი და ერთი ადგილიდან მეორეზე გადავიდეს. ამ მხრით არავითარი დაბრკოლება არ უნდა იყოს. ეს უმთავრესათ ეხება ებრაელებს.

ჩხეიძე ამბობს, რომ რუსეთში პიროვნების ხელშეუხებლობის იდეია დიდი ხანი არ არის რაც წარმოიშვა. ის დაიბადა მაშინ, როცა განმათავისუფლებელმა მოძრაობამ იფეთქა რუსეთში, მაგრამ სანამ რევოლიუცია შესძლებდა პიროვნების ხელშეუხებლობის მოპოვებას, ის ჩააქრეს. ერთი კითხვის გადაჭრა უნდოდა პირველ დუმას, მაგრამ გადადგა თუ არა პირველი ნაბიჯი ამ მხრით, ხელათ გარეკეს. მეორე დუმას იგივე ბედი ეწვია; და აი, ამ მწვავე კითხვის გადაწყვეტა ეხლა მესამე დუმას სურს. ის დუმა, რომელიც წარმოიშვა უუფლებობის საშოდან, თვით აწვდის მთელ ხალხს ამ პირველ აქტს თვითნებობისას, რომელსაც პიროვნების ხელშეუხებლობის კანონ-პროექტი ეწოდება. მთელი ტრაგიზმი იმაში მდგომარეობს, რომ თავის „ღაბეას კორპუს“-ს ხალხი გოლოლობოვის ხელიდან ღებულობს. (უკიდურესი მემარცხენენი ტაშს უკრავენ), მაგრამ შემდეგში ისე არ იქნება: რუსეთის ხალხი ისევ შეგხვდება თქვენ პირის პირ და მაშინ კი ნამდვილ თავისუფლებას მიიღებს. (მარცხნით ტაშისცემა). ჩილიკინი ამბობს, რომ ამ კანონ-პროექტს არავითარი რეალური მნიშვნელობა არა აქვს და ადმინისტრაციის თვითნებობას არავითარი საზღვარი არ ედება. კოვალენკო პირველი წინადადებას იძლევა კანონ-პროექტი ისევ იმავ კომისიას დაუბრუნდეს ხელ-ახლა გადასასინჯათ, გულკინი წინააღმდეგია საეროზო სტრაჟნიკთა ინსტიტუტის. შემდეგ ეხება პურიშკევიჩის მოღვაწეობას ბესარაბიაში. ტყუილათ ყოყოჩობს პურიშკევიჩი—ამბობს ის—მით, რომ მის ძარღვებში მოლდავანური სისხლის ერთი წვეთი არ არის. პურიშკევიჩი რომ ფსიხიატრიულ საავათმყოფოში წავიდოდეს იქ გაიგებს რა გვარი სისხლი აქვს მას ძარღვებში. თავმჯდომარე სიტყვას აწყვეტინებს. კრებას სწყდება. კრების განახლებისას განაგრძობს გულკინი. ის წინააღმდეგია ებრაელების შევიწროების. თუ კიდევ გაგრძელდა დევნა და თვითნებობა—ამბობს ის—მაშინ რუსეთის მეორე რევოლიუცია შორს არ არის (ხმები მარცხნიდან: მართალია!) დასასრულ გლეხების სახელით ის მოითხოვს კანონ-პროექტი ისევ კომისიას დაუბრუნდეს ხელახლა განსახილველათ (მარცხნით ტაშის ცემა). შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი კურლოვი ამბობს, რომ მთავრობა ამ კანონ-პროექტის შემოტანით არ დაკმაყოფილდება და ეცდება თანდათან შეავსოს სხვა კანონ-პროექტებით. შემდეგ ის ეხება წინა ორატორების სიტყვებს, რომლებმაც თავიანთ სიტყვებში ცუდათ მოიხსენიეს ჟანდარმთა კორპუსი. ვრცლათ აღნიშნავს ჟანდარმთა კორპუსის მოღვაწეობას სახელმწიფოში და მის ღვაწლს, რომ ჟანდარმები მტკიცეთ იცავდენ მიღებულ ფიცს და ერთგულათ ემსახურებოდენ მთავრობას, რის მოწმეც არის რევოლიუციის დროს მათი თავგანწირული მოქმედება. კროპოტოვი ეხება სიკვდილით დასჯას და მოყავს ყველა წლის ციფრები. ის ამბობს, რომ პიროვნებისთვის საჭიროა სიცოცხლე, მაგრამ სიცოცხლე ფეხქვეშ ითელება. შემდეგ ის ლაპარაკობს სატუსაღოების და ადმინისტრაციის თვითნებობის შესახებ, აკრიტიკებს პიროვნების ხელშეუხებლობის კანონ-პროექტს და ამბობს, რომ პიროვნების ხელშეუხებლობის მოპოების იმედს ხალხი მხოლოდ თავის ძალაზე უნდა ამყარებდეს. კუზნეცოვი აცხადებს, რომ ამ კანონ-პროექტს არ შეუძლია დაიცვას პიროვნება ძალმომრეობა - თვითნებობისაგან. ის აღნიშნავს როგორ უდიერაი ეპყრობა მთავრობა, ადმინისტრაცია და გაბატონებული კლასი მუშებს და გლეხობას. პიროვნების ხელშეუხებლობას და არსებობის უფლებას, როგორც გეგეჭკორმა სთქვა, პროლეტარიატი მოიპოვებს. შემდეგ ლაპარაკობს გოლოლობოვი. ის იცავს კანონ-პროექტს და თხოულობს შეუდგენ კანონ-პროექტის მუხლებრივ განხილვას, ხოლო თუ მაშინ შეუძლებელი იქნება შესწორებების შეტანა, კანონ-პროექტი გადაეცემა ამა თუ იმ კომისიას. (მარჯვნით ტაშის ცემა) მღვდელი ნიკონოვიჩი ამბობს, რომ ამ პროექტის განხორციელებით გახშირდება ბოროტ-მოქმედება, რადგან შიში აღარ ექნებათ გაჩხრეკა-დაჭერის. მას მაგალითათ მოყავს, როცა რევოლიუციონერებს გამოყავდათ მღვდლები რევოლიუციის დროს, აყენებდენ წითელი დროშების ქვეშ და ძალით ათქმევინებდენ სიტყვებს. ბულატი აღნიშნავს, რომ წინა ორატორების მიერ მოყვანილ იურიდიულ საბუთების შემდეგ პროექტის უვარგისობაზე ლაპარაკი საჭირო აღარაა, მარა საჭი-

თოთ სთვლის რამოდენიმე სიტყვა სთქვას პოლიციის შესახებ. სრული თვითნებობა ახასიათებს რუსეთის პოლიციას. სამწუხაროთ, ჩვენ კიდევ ვერ ვაფასებთ თავისუფლებას: როდესაც ჩვენ თავისუფლებას სიცოცხლეზე მეტათ დავაფასებთ, მაშინ ჩვენთვის დუმბაძე და გოლოლობოვი საშიშონი აღარ იქნებიან. როდესაც ჩვენ შევძლებთ ძალას ძალა დავუპირდაპიროთ, მხოლოდ მაშინ გვეღირსება მოქალაქობრივი თავისუფლება. ეს ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს და ჩვენ ამრჩევლებსაც უნდა გავახსენოთ ხოლმე (მარცხნით ტაში). 5 საათსა და 25 წუთზე სხდომა შესწყდა. სხდომა განახლდა 8 ს. 45 წუთზე. თავმჯდომარეობს შიდლოვსკი. კამათია ნავთის მიწების უკანონოთ გაცემის შესახებ. **დიმიტრიუკოვი** გრძელ სიტყვაში აბათილებს ვაჭრობის მინისტრის საბუთებს, ის მინისტრს ბრალს სდებს უკანონო მოქმედებაში. სიტყვის ბოლოს ორატორს მორიგ კითხვებზე გადასასვლელი ფორმულა შეაქვს, რომელშიაც აღნიშნულია მინისტრების უკანონო მოქმედება ნავთის მიწების გაცემის საქმეში და მინისტრის განმარტების უსაბუთობა ამ საგნის შესახებ. **სტეპანოვი** ეხება საკითხის არსებით მხარეს, კიცხავს მინისტრის მოქმედებას და დასასრულ აცხადებს, რომ კ. დ. ფრაქცია უერთდება ოქტომბრისტების ფორმულას, მხოლოდ პასუხის მგებლობას ადებს არა მარტო სავაჭრო მინისტრს, არამედ მთავრობას. **ბობრინსკი** აცხადებს, რომ სახალხო წარმომადგენლები მოვალენი არიან მინისტრს პროტესტი გამოუცხადონ სახელმწიფო ქონებათა შინაურულათ გაფლანგვის შესახებ. (აპლოდისმენტები ყველა მხრიდან). დეე იცოდეს ადმინისტრაციის ყოველმა ინსტანციამ,—ათავებს ორატორი, რომ დუმის ფარანი ყოველთვის ნათელს მოფენს მთავრობის უკანონო მოქმედებას, ხალხის სინიდისი თავრიდის სასახლეში თავის მსჯავრს გამოსთქვამს უბრალო სიტყვებით: „თქვენო აღმატებულებავ, თქვენ ცუდათ მოიქეციო" (ტაშის ცემა ყველა სკამებზე, მარცხნივ: ბრავო!) **შანგარიოვი** ამბობს, რომ სიამოვნებით მოისმინა წინა ორატორის სიტყვა და სიხარულს გამოსთქვამს, რომ დუმა მინისტრის მიერ არჩეულ მოლიპულ გზას არ გაჰყვა. ორატორი გაკვირვებულია იმ მოქალაქობრივი სითამამით, რომელიც მემარჯვენეებმა გამოიჩინეს ამ კითხვაში, მხოლოდ მათ არ უნდა დაივიწყონ, რომ მინისტრის ასეთი მოქმედება გაგრძელდება მანამდე, სანამ დაკანონებული არ იქნება მინისტრების ნამდვილი პასუხისმგებლობა. **ბალაკლაევი** თანაგრძნობას უცხადებს ბობრინსკის, მაგრამ ხმას შეკითხვის წინააღმდეგ მივსცემო, აცხადებს ის,—ვინაიდან მიწები გაცემული იყო უმაღლესი ბრძანების შემდეგ. (**ბობრინსკი** ადგილიდან: არა, არა,) ბალაკლეევი აღნიშნავს, რომ მინისტრი მეფის ბრძანებას უნდა დამორჩილებოდა. აქ უკანონო მოქმედების შესახებ ლაპარაკი არ არ შეიძლება. მე მეფის შეუცდომლობაზე არას ვამბობ: უცოდველათ კათოლიკებს მხოლოდ პაპა მიაჩნიათ (ცენტრში ხმაურობაა). **თავმჯდომარე**. დუმის წევრო ბალაკლაევო! გთხოვთ ამ კითხვას ნუ ეხებით. **ბალაკლაევი** განაგრძობს: კანონები, როგორც მთელი კაცობრიობაც, უნაკლულო არ არის; ამიტომ კანონის გადაცილებაც შესაძლებელია, მაგრამ კანონების გაუქმების და შეცვლის უფლება მხოლოდ უმაღლეს მთავრობას აქვს. (მარჯვნით ტაში). თავმჯდომარე აცხადებს, რომ ორატორთა სია გათავდა. ბალაკლაევის, ბერეზოვსკის და შეჩკოვის წინააღმდეგ დუმა ღებულობს ოქტომბრისტების ფორმულას.

სხდომა შესწყდა 10 ს. და 25 წუთზე. შემდეგი სხდომა მოხდება 20 ნოემბერს.

# დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

19 ნოემბერი.

### სპარსეთი

**თეირანი.** ყაჩაღების მიერ თავდასხმის დროს მოკლული კაზაკი დიდის ამბით დაასაფლავეს შირაზში. დაჭრილი კაზაკი უკეთ არის. ინგლისის ახალშენმა თანაგრძნობა გამოუცხადა პარსსეკს. სპარსეთის მთავრობამაც ღრმა მწუხარება გამოუცხადა ამ ამბის გამო. მიღებულია სასტიკი ზომები დამნაშავეების აღმოსაჩენათ და დასასჯელათ. გარდა ამისა სპარსეთის მთავრობამ აღუთქვა გადაახდევინოს ზარალი დამნაშავეებს და უკეთუ ეს არ მოხერხდა თვითონ გადაიხადოს.

**ასტარა.** არდებილის რუსის რაზმის დაზვერვამ გამოარკვია, რომ რახიმ-ხანი წასულა კარადაგაში, შახსევანები კი თავიანთ ჩვეულებრივ საზამთრო ადგილებში. ამ დღეებში ასტარა-არდებილის გზების რაიონში მოხდა შეტაკება რუსის ჯარებსა და ნახევრათ ველურ პოლატლინცებს შორის, რომლებიც სოფელ ნიუნდაკეხანის ხელში ჩაგდებას ლამობდენ. იმათ პირველმა ასტეხეს სროლა, დაკარგეს 6 კაცი და მთებში გაიქცენ. რუსის ჯარის მხრით არავინ დაკარგულა. პოლატლინცების ბეკმა წერილობით მწუხარება და სრული მორჩილება გამოუცხადა რუსის კონსულს არდებილში, პოლატლინცელების მოქმედება კი იმით ახსნა, რომ ვითომ რუსის კაზაკები იმათ, მათ მოსისხლე მტრობათ, ტალიშინცებათ მიიღეს.

### საზღვარ-გარეთ

**პარიჟი.** სენატმა დაასრულა მუშათა პენსიის კანონ-პროექტის საერთო განხილვა და ცალ-ცალკე მუხლების კითხვას შეუდგა.

**ლონდონი.** ლორდების პალატამ 17 ნოემბერს 350 ხმით 75 წინააღმდეგ მიიღო ლენსდოუნის რეზოლიუცია. ლიბერალური გაზეთების მეთაური წერილების სათაური შემდეგია: „ლორდების პალატის თვით-მკვლელობა". გაზეთები აცხადებენ, რომ ლორდების მხრივ სახელმწიფოებრივი პერევოროტი გარდამავალია, ის გამოიწვევს შურისძიებას, ლიბერალები არ დასცხრებიან, სანამ ქვედა პალატა უპირველესობას არ მოიპოვებს. კონსერვატიული გაზეთები ამტკიცებენ, რომ ლორდების გადაწყვეტილება კონსტიტუციონურია და აღნიშნავენ ამ გადაწყვეტილების დიდ მნიშვნელობას იმპერიისათვის, რადგანაც ამით აძლევენ ხალხს შეძლებას შემოღებულ იქნეს სატარიფო რეფორმა, რომელიც დაიცავს იმპერიის უშიშრობას და ინგლისის მომავალ ბედ-იღბალს.

**ლონდონი.** ლორდთა პალატა. 17 ნოემბრის სხდომაზე ლენსდოუნის რეზოლიუციის წინააღმდეგ ილაპარაკა იორსკის არქიეპისკოპოსმა, მაგრამ მან გაიცხა ლორდ ჯორჯის სიტყვის კილოც. ლორდმა კერზონმა როზბერის წინააღმდეგ ილაპარაკა. მთავრობის წარმომადგენელი გრაფი კრიუ იცავს ბიუჯეტს. შუაღამისას პოლიციამ ალყა შემოარტყა პარლამენტს და ირგვლივ შემორტყმული ხალხი უკან დასწია. როდესაც რეზოლიუციის მიღება გამოცხადდა, ხალხი ჩუმათ დაიშალა.

**ბერლინი** პრუსიის ლანდტაგის დამატებითი არჩევნებზე, რადგანაც ქ. ბერლინიდან არჩეული 4 სოციალდემოკრატი უკანონოთ იცნეს, 17 ნოემბერს აირჩიეს 3 სოციალ-დემოკრატი და 1 თავისუფალი მოაზრე.

**ვენა.** ვენის ახლოს, ფიშმენდში 12 ს. და 29 წუთზე აფრინდა ავსტრო-უნგრეთის პირველი სამხედრო ჭაეროსტატი „პარსევალი", რასაც ხელს უწყობდა აღმოსავლეთის ქარი. ჭაეროსტატი გადაფრინდა ვენაზე, შენბრუნზე, ვეიკესდორფზე, პრესბურგზე, ბრუკზე და დაბრუნდა ისევ ფიშმენდში. სულ გაიარა 260 კილომეტრი.

**ბერლინი.** „დეიტშე-ტაგესცაიტუნგ"... „ლოკალ-ანცაიგერ"... — [გაზეთის სახელი, ტექსტის მიხედვით:] „დეიტშე-კაბელგრამმა-გოზელშაფტი" იტყობინება ტოკიოდან: გაზეთების ცნობას იაპონიასა და ჩინეთს შორის შეთანხმების შესახებ კატეგორიულათ უარს ყოფს მთავრობის გაზეთი „კოკუმინი".

**ლონდონი.** სათემო პალატაში ასკვიტს ოვაციებით შეხვდენ. ლიბერალების მისალმება რამოდენიმე წუთს გაგრძელდა. პარლამენტის სესია შესწყდება ოც ნოემბერს.

**ტოკიო.** ადმირალი ტოგო ფლოტის მთავარი უფლების თანამდებობას სტოვებს და სამხედრო საბჭოს წევრათ ინიშნება. ტოგოს ადგილზე დანიშნება ვიცე ადმირალი იჭუინი.

**სენტპოლი.** (მინესოტას შტატები) 17 ნოემბ. დაიწყო რკინის გზის მეისრეების გაფიცვა. ბევრი საქონლის მატარებლის მიმოსვლა შეწყდა. სამგზავრო მატარებლების წესიერი მიმოსვლა შეფერხებულია.

**ბერლინი.** რეიხსტაგის პრეზიდენტათ ხელახალ არჩეულ იქნა გრაფი შტოლბარგი, 256 ხმით. 96 თავი დაიჭირა. პირველ ვიცე პრეზიდენტათ—შპანი, ცენტრის პარტიისა, მეორე პრეზიდენტათ—პააშე. ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა.

**ვენა** „ნეიე-ფრეიე-პრესსე"... „ნეიე-ვიენერ-ტაგებლატ"-ის დეპეშით ატყობინებენ ცეტინიდან, რომ სამხედრო სასამართლომ, რომელმაც გაარჩია საქმე სეპტემბერში მომხდარ სამხედრო აჯანყების შესახებ და კაპიტან ჯინოვიჩს და ოთხს კიდევ სხვას სიკვდილით დასჯა მიუსაჯა, 17 ნოემბერს განაჩენი სისრულეში მოიყვანეს.

**ბელგრადი.** სერბიის ელჩს სტამბოლში დავალებული ქონდა შეეტყობინებია ოსმალეთის მთავრობისათვის, რომ მეფე პეტრეს და ბოლგარიის მეფის შეხვედრას სხვა არავითარი მნიშვნელობა არ ქონდა გარდა იმისა, რომ განემტკიცებიათ ორთავე სახელმწიფოთა შორის მეგობრული კავშირი. და რომ სერბიას და ბოლგარიის შორის შეთანხმება მომხდარიყო, ეს ისეთი იქნებოდა, რომ ოსმალეთსაც შეეძლებოდა მიმხრობოდა ამ განცხადებას ამან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ოსმალეთის წრეებზე.

**ბერლინი.** პააშემ უარი განაცხადა რეიხსტაგის ვიცე-პრეზიდენტობაზე, რადგანაც ნაციონალ-ლიბერალურმა ფრაქციამ გადასწყვიტა არ მიიღონ მონაწილეობა პრეზიდიუმში. მეორე ვიცე-პრეზიდენტის და სეკრეტრის არჩევა გადადო 20 ნოემბრისათვის.

### რუსეთი.

**პეტერბურგი.** ადესაში, ვორონეჟის და პოლტავის გუბერნიებში გაძლიერებულ დაცვის წესები გაგრძელებული იქნა 1910 წ. 4 მარტამდის. კიევი, ვიტებსკი, პოდოლსკი, კოვნა, ნოვო-ალექსანდროვსკი თავის მაზრით, კრემენჩუგი თავის მაზრებით გამოცხადებულ იქნა ხოლერის მხრით საშიშოთ.

**ჩერნიგოვი.** სურაჟის ერობამ დაადგინა შეიტანოს თავის სკოლების რიცხვში 26 სამრევლო სკოლა.

**პეტერბურგი.** ორი დღის საქმის გარჩევის შემდეგ სამოსამ. პალატის განსაკუთრებულმა კომისიამ წოდებათა წარმომადგენლების მონაწილეობით დაასრულა სოც. რევ. პარტიის 18 წევრის საქმის გარჩევა. 11-ს სამუდამო გადასახლება მიუსაჯა, 3-ს ციხე წლიდან—წლეიწად და სამ თვემდე. დანარჩენები გაამართლა.

მინისტრთა საბჭომ უმაღლეს დადასტურებით, აფშერონის ნახევარ კუნძულების ნავთის ექსპლოატაციის საქმეების გამგეობა კავკასიის სამთო-მადნო გამგეობას დაავალა.

**ლოძი.** ცეცხლმა გაანადგურა მატულევიჩის ქარხანა ანდასის და ვეილესი. ზარალი 800,600 მან.

**სტანიცა კავკაზსკაია** (უბანის ოლქი). რომანოვსკის ხუტორთან აზოვის ბანკის მეარტელეს დაეცენ და წაართვეს 26,000 მ. მეარტელე დაჭრილია მსუბუქათ.

**სარატოვი.** აღიძრა შუამდგომლობა სარატოვის რკინის გზით შეერთების შესახებ ცამბირთან და შუა აზიასთან ტაშკენტით და ვერნით. საუცხოვო ამინდი დგას; აყვავდა იასამანი, ია და ვარდი.

**ვარშავა.** ვარშავის ახლოს, სოფ. კოლოში ხუთი მძარცველი რევოლვერებით შეაიარაღებულნი თავს დაეცენ სახაზინო არყის დუქნის გამგეს და მოჰკლეს იგი. ფული ვერ წაიღეს, რადგანაც სტრაჟნიკმა სროლა ასტეხა.

**სიმფეროპოლი.** ბერდიანსკის და მელიტოპოლის შუა გაძარცვეს გლეხი. სტრაჟნიკებსა და მძარცველებს შორის ასტყდა სროლა: ერთი მძარცველთაგანი მოჰკლეს, დანარჩენები დაიჭირეს.

**როსტოვი დონის.** 17 ნოემბერს აზოვში სავაჟო გიმნაზიის ორმა მოწაფემ მეცადინეობის დროს ნიშნების უკმაყოფილების ნიადაგზე რევოლვერი ესროლეს სამღვთო-სჯულის მასწავლებელს 70 წლის მოხუცს. ერთს რევოლვერი არ გაუვარდა, ხოლო მეორემ დაჭრა მასწავლებელი მკერდში.

**ნოვოჩერკასკი.** რკინის გზაზე მომხდარ გაფიცვის გამო სადგურ ნოვოჩერკასკზე ოთხ მოსამსახურეს პალატამ ციხეში დაპატიმრება გადაუწყვიტა 8 თვიდან 14 თვემდის, ხოლო ექვსი გაამართლა.

# უკანასკნელი ფოსტა

### სპარსეთი.

**სპარსეთი და რუსეთი.** როგორც „რუს. სლოვოს" ატყობინებენ, სპარსელები ძალიან აღელვებული არიან იმ ცნობის გამო, ვითომ რუსეთი სპარსეთში 5,000 კაცისაგან შემდგარ დამსჯელ რაზმს აგზავნისო. სპარსელები ამტკიცებენ, რომ რუსეთი ასეთი მოქმედებით ხელს უშლის სპარს. მთავრობას შახსევანების იარაღის აყრაში და საბოლოოთ დამორჩილებაში. ხალხში გავრცელებულია ფოტოგრაფიული სურათები, რომელზედაც რუსეთის აფიცერთა ჯგუფი რახიმ-ხანთან და არდებილში მყოფ რუსეთის საელჩოს მდივანთან ერთათ არის გადაღებული.

### ოსმალეთი

**საზღვაო აფიცერთა მოთხოვნილება.** საბერძნეთის საზღვაო აფიცერთა კავშირმა სამხედრო ლიგას წინადადება მისცა ერთი მათი წარმომადგენელიც მიიღონ ლიგის წევრათ, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი უკიდურესი ზომების მიღებით იმუქრებიან.

**აბდულ-ჰამიდის მილიონები.** აბდულ ჰამიდს გერმანიის ბანკში 16 მილიონი ფრანკი ქონია შენახული იმ ფულს გარდა, რაც უკვე ჩამოართვა ოსმალეთის მთავრობამ. ეს გამოურკვევია შეფკეთფაშას, რომელსაც სულთანის და ბანკის მიწერ-მოწერა ჩავარდნია ხელში. ოსმ. მთავრობის წინადადებით აბდულ-ჰამიდმა ბანკს ფული მოსთხოვა. ბანკი სხვადასხვა ფორმალური მოსაზრებით ფულის გადაცემას აგვიანებს.

**ფრაქციები პარლამენტში.** ლიბერალების ბელადს ახმედ-რიზას „ბერლინ. ტაგებლ."-ის კორესპონდენტისათვის უთქვამს, რომ პარლამენტის ფრაქციების ძალთა განწყობილება ახალგაზდა ოსმალთა საზარალოთ შეიცვალაო. რიზას სიტყვით, შარშან ოსმალეთის პარლამენტში ყოფილა 175 ახალგაზდა ოსმალო, წელს კი მხოლოდ 50. პარლამენტის ოპოზიცია შესდგება 20 ლიბერალისაგან, 30 არაბისაგან, 23 ბერძნისაგან და იმ დეპუტატებიდან, რომლებიც ახალგაზდა ოსმ. პარტიას ჩამოცილდენ.

### საზღვარ-გარეთ

**ს. დ. ბურგომისტრი.** კოპენგაგენის ქალაქის თვითმართველობის ბურგომისტრათ (ქალაქის თავათ) არჩეულ იქნა სოციალდემოკრატი კნუდსენი.

**ნორვეგიის ჟურნალისტები.** „ფრანკფურტერ ცაიტუნგის" სიტყვით ნორვეგიის სახალხო განათლების მინისტრმა ჟურნალისტებს შორის გაანაწილა სახელმწიფოს მიერ დაარსებული სტიპენდიები. ეს სტიპენდიები ჟურნალისტებს ეძლევათ საზღვარ-გარეთ მოგზაურობისათვის. სატახტო ქალაქის ერთი რადიკალური გაზეთის თანამშრომელმა სტიპენდია მიიღო გერმანიის და საფრანგეთის ბეჭვდითი სიტყვის შესასწავლათ, კონსერვატიული გაზეთის თანამშრომელმა—პოლიტიკური ეკონომიის შესასწავლათ დანიაში, სოციალისტური გაზეთის თანამშრომელმა სტიპენდია მიიღო სოციალური პოლიტიკის შესასწავლათ ინგლისში და საფრანგეთში. თითო სტიპენდია 500 კრონს უდრის და ორ თვეს საზღვარ-გარეთ ცხოვრების საშუალებას აძლევს გაზ. თანამშრომლებს.

**მუშათა საკითხი.** იაპონიის მთავრობას გადაუწყვეტია მთელი რიგი კანონების გამოცემით მუშათა საკითხი მოაწესრიგოს. მრეწველები ამ ამბავს საშინლათ გაუნაწყენებია. ისინი (რუსეთის მრეწველებს ბაძავენ ალბათ!) თავიანთ ორგანოების ფურცლებზე მთავრობას ციფრებით უმტკიცებენ, რომ ახალი რეფორმები მრეწველობას სრულიად დაღუპავსო.

**რუსის ანარქისტის თავის მოკვლა.** გალიციის ქ. ბროდში პოლიციას ვინღაცა დაეჭირა ახალგაზრდა რუსი-ანარქისტი, რომელიც იყო სასტუმროს ნომერში. ანარქისტმა კარები ჩაიკეტა და ასაფეთქებელი ნივთიერებით თავი მოიკლა. უბის წიგნში უნახეს რევოლიუციონური სიმღერები, ანარქისტების სახელები, ასაფეთქებელი ნივთიერებათა რეცეპტი, საწამლავი და ერთი ნომერი არალეგალურ გაზეთ „შავი დროშისა".

### რუსეთი.

**ეპისკოპოზი ანდრეევის შესახებ.** სარატოვის საკრებულო ტაძარში ეპისკოპოსმა გერმოგენმა „მკაცრი კრიტიკა" გაუკეთა ლ. ანდრეევის „ანათემას" და „ანფისას". სიტყვის ბოლოში ეპისკოპოზმა იქვე მდგომ გუბერნატორს მიმართა წინადადებით, რომ საჭიროა „ანათემა" აკრძალულ იქნასო.

**ა. მ. ერისთავის ბიოგრაფია.** „სპბ. ვედ."-ის № 242 ნომერში მოთავსებულია ცნობები სახელმწიფო საბჭოს წევრის ა. მ. ერისთავის ცხოვრებიდან. სხვათა შორის ნათქვამია, რომ 1902—1903 წ. სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, ნ. ჟორდანიას და ი. გომართელის მეთაურობით, ა. ერისთავის კანდიდატურა წამოაყენა შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე გ. ფ. ზდანოვიჩის წინააღმდეგ. ერისთავი იმავე გაზეთის საშვალებით უარყოფს ამ ცნობებს და ამბობს: მე ს. დ. მოძრაობასთან არაფერი საერთო არ მქონია. შავი ქვის მრეწველთა საბჭოს გარშემო ბრძოლა იყო ატეხილი ექსპორტიორებსა და ადგილობრივ მრეწველებს შორის. მე ვიყავი ექსპორტიორების კანდიდატი და პოლიტიკურ პლატფორმას აქ ადგილი არ ქონია. რაც შეეხება ჩემი მარჯვნივ გადახრის შესახებ 1903 წლის შემდეგ, საჭიროთ ვაცხადებ, რომ ჩემში არავითარი ასეთი ცვლილება არ მომხდარა. როგორც მაშინ, ისე ახლაც, მე პროგრესიულ ... თანაგრძნობ საზოგადო სახელმწიფოებრივ საკითხებში; ... კი თვითმოქმედების განვითარების მომხრე ვარ.

**განკარგულების გაუქმება.** აზნაურმა მორლოვმა ხარკოვის გუბერნატორს მიმართა თხოვნით, რომ ნება მიეცა მისთვის ხარკოვში ყოველ კვირეული გაზეთი „ცხოვრება" გამოეცა. გუბერნატორმა მორლოვს ნება არ დართო, ვინაიდან გუბერნატორისაგან შეკრებილი ცნობებით მორლოვი სოციალ-დემოკრატი აღმოჩნდა. მორლოვმა საქმე გაასაჩივრა. სენატმა გუბერნატორის მოსაზრებანი უარყო და დაადგინა: გუბერნატორის დადგენილება გაუქმებულ იქნას და საქმე ხელახლა გადაისინჯოს.

**შავრაზმელის თავხედობა.** ქ. ოპოჩკში (პსკოვის გუბ.) 8 ნოემბერს შემდეგი ამბავი მოხდა. ადგილობრივ საკრებულო ტაძარში წირვის გათავების ხანს ამბიონზე ვიღაც ახალგაზდა კაცი ავიდა და ხალხს შემდეგი სიტყვებით მიმართა: ბატონებო, გვეყო ამდენი მოთმენა! ოპოჩკაში ყველაფერი ურიებმა ჩაიგდეს ხელში... ურიები (ჟიდები) რუსეთს ღუპავენ... ყველაფერი მათ ხელშია... მღვდელმა „ორატორს" უბრძანა ამბიონიდან ჩასულიყო. უცნობმა მღვდელს სახეში ჩაარტყა... ტაძარში საშინელი აურ-ზაური ასტყდა... „ორატორი" შეიპყრეს. ის აღმოჩნდა „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის წევრი".

**სახალხო განათლების საქმე.** ქალაქის თვითმართველობებს და საერობო დაწესებულებებს სახალხო განათლების მინისტრისათვის მიუმართავთ თხოვნით სახალხო განათლების საჭიროებისათვის სესხი გაგვიხსენითო. ერთდროული დახმარების სახით მოთხოვნილია 1910 წლისათვის 24, 486, 995 მ. ყოველ წლიურათ—15,000,000 მ. „ფინანსიური მოსაზრებით" სახალხო განათლების მინისტრი მხოლოდ 7 მილიონ. მანეთის გაწესრიგებას აპირებს.

**ოჯახიდან განდევნილნი.** ცარსკოე სელო, პავლოვსკი, გატჩინო და პეტერგოფი იმ ქალაქების სიაშია მოთავსებული, რომელიც სასახლის კომენდანტს ექვემდებარება. კომენდანტის განსაკუთრებული წესით ნება დაურთველათ აღნიშნულ ქალაქებში სტუდენტებს ნება არა აქვთ იცხოვრონ. მიუხედავათ იმისა, რომ პეტ. უნივერსიტეტის ბევრი სტუდენტების მშობლები ამ ქალაქში სცხოვრობენ. გარდა ამისა, დასახელებული ადგილები საცხოვრებლათ პეტერბურგს გაცილებით სჯობია. უწყებათა შორის თათბირმა იქონია ამ კითხვის შესახებ მსჯელობა და კითხვა ჯერ-ჯერობით ღიათ დასტოვა, სანამ ამის შესახებ სასახლის მინისტრის აზრს არ გაიგებს.

**„ძაღლი არ გეგონოთ, სპილოა"!** პეტერბურგის გაზეთების სიტყვით, „ჭეშმარ. რუსებს" გადაუწყვეტია 1910 წლიდან ახალი დიდი ფორმატის გაზეთი გამოსცენ, რომ „კავშირის" იდეები უფრო ფართოთ გაავრცელონ. „კავშირის" ბოლოს მფარველების აზრით „რუსსკოე ზნამია" იმიტომ არ ვრცელდება, თურმე, რომ „კავშირის" ორგანოთ ითვლება. საჭიროა, თავიდან მაინც, ნამდვილი მიმართულების დაფარვა. ამ მიზნით გაზეთში ლიბერალური წერილებიც იქნება მოთავსებული. არქიმანდრიტ მაკარის, დეპ. ვოიეკოვს საინტენდანტოს შემოსავლიდან 100,000 მანეთი აუღიათ „კავშირის" სახელით. ეს ფული გაზეთის გამოცემას მოხმარდება.

**დუელში გამოწვევა.** შტაბ როტმისტრმა ბაკუნინმა დუელში გამოიწვია ორლოვის გუბერნატორი ბოლიასნო. უკანასკნელმა უპასუხა, რომ აფიცერს მთავრობის ნება დაურთველათ დუელში გასვლის უფლება არ აქვსო. ჯარების უფროსმა ბაკუნინს ნება დართო, მაგრამ გუბერნატორმა ბოლიასნიმ ამის შემდეგაც უარი სთქვა დუელზე. მოტყუებით გაბრაზებულმა ბაკუნინმა ბოლიასნის შეუთვალა: „заставлю г. губернатора драться".

**ახალი საგანი.** სავაჭრო-სამრეწველო სამინისტროს გადაუწყვეტია ტეხნიკურ სასწავლებლებში სტამბის ხელობის სწავლება შემოიღოს.

**ნაგავი, პურის მაგიერ.** სავაჭრო-

სამრეწველო სამინისტრომ გერმანიიდან და ჰოლანდიიდან განცხადებები მიიღო, რომელშიაც საზღვარგარეთელი ვაჭრები ჩივიან, რომ რუსეთიდან მიღებულ პურში დიდძალი ნაგავი ურევიაო. ვაჭრები იმუქრებიან, თუ ასეთი მოტყუება კიდევ გაგრძელდა, არა თუ პურის ფასს დავუწევთ, სრულიად შევსწყვეტავთ რუსეთიდან პურის გატანასო. სამინისტრომ საბირჟო კომიტეტს მიანდო ასეთ ბოროტ-მოქმედების წინააღმდეგ ზომების გამოძებნა.

**შუამდგომლობა.** დეპ. პოკროვსკის თხოვნით ხომიაკოვმა მოსკოვის სამხედრო ოლქის უფროს გენერალ პლევეს დეპეშა გაუგზავნა და სთხოვა სასჯელი შეუმსუბუქოს ვოლოგდაში სიკვდილით დასასჯელ სამ დამნაშავეს.

**აზნაური რჟავსკი.** კურსკის საგუბერნიო ციხეში გადაიცვალა ადგილობრივი ჭეშმარიტ რუსთა კავშირის თავმჯდომარის ამხანაგი აზ. რჟავსკი. მას ბრალდებოდა მოროზოვის 9 წლის ქალიშვილის გაუპატიურება და მოკვლა.

**მრეწველობის დაღუპვა.** მუშათა კომისიაში უბედური შემთხვევების და ავათმყოფობისაგან დაზღვევის საკითხის გარჩევის დროს დეპუტატმა ბელიაევმა (პეტერბურგიდან), მსხვილმა მექარხნემ, განაცხადა, თუ მთავრობა მუშების ექიმობას მრეწველებს დააკისრებს, მრეწველობა სრულიად განადგურდებაო.

მთავრობის წარმომადგენელი ლიტვინოვ—ფალინსკი გაკვირებას აცხადებს იმის გამო, რომ 1906 წ. მრეწველებს ეს კანონ-პროექტი ვიწროთ მიაჩნდათ და მის გაფართოებას მოითხოვდენ, ახლა კი კანონ-პროექტი ფართოთ და მუშების გასაბედნიერებლათ მიაჩნიათ და მის შეზღუდვა-შემოკლებას მოითხოვენო. კომისიის თავმჯდომარე ტიზენგაუზენი ბელიაევზე კიდევ შორს წავიდა და განაცხადა, რომ არც ერთ სახელმწიფოში არ არსებობს უფლება—სხვის ხარჯზე ექიმობა-წამლობის შესახებო.

**ახალი კანონ-პროექტი.** მთავრობის წრეებში მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სტოლიპინის მონაწილეობით ახალ კანონ-პროექტს ადგენენ ფინლიანდიის შესახებ.

**გულკინის გამორიცხვა.** დუმის წევრი გულკინი ნაციონალისტების ფრაქციიდან გამორიცხეს. ფრაქციამ აღნიშნა, რომ გულკინის უკანასკნელი სიტყვები დუმაში ფრაქციის გადაწყვეტილებას ეწინააღმდეგებაო.

## ახალი ამბები

◆ **დრამატიულ საზოგად. სხდომა.** ოთხშაბათ საღამოს მოხდა დრამატიული საზოგადოების სხდომა, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა ფრიად მნიშვნელოვანი კითხვა: ვის განკარგულებაში უნდა დარჩეს იმ დღეებით სარგებლობა ზუბალაშვილების სახლში, სახალხო წარმოდგენების გასამართავათ—ახალი წრის, თუ სახალხო უნივერ. გამგეობასთან უკვე არსებულ სექციის. ამ კითხვის გადაწყვეტა შეუძლია მხოლოდ დრამ. საზოგადოებას, რადგან ქალაქის თვითმართველობიდან მას აქვს გადაცემული ამ დღეებით სარგებლობის უფლება. დღემდის ეს დღეები დრამ. საზოგად. დათმობილი ქონდა სახ. უნ. არსებულ სექციას, და საქმეც კარგათ მიდიოდა: სექცია მშვენივრათ აწარმოებდა სახ. წარმოდგენების საქმეს. დღეს შედგა წრე და ის წინადადებას აძლევს დრ. საზოგადოებას—აღნიშნული დღეები ჩვენ გადმოგვეციო. მაშასადამე, კითხვა ასე დგას—წაართვას თუ არა, დრამ. საზოგადოებამ ეს დღე სახ. უნ. სექციას და გადასცეს ახალ წრეს. აი ეს კითხვა უნდა გადასწყვიტოს დრამ. საზოგადოებამ. დრამტ. საზ—ბამ კითხვის გამოსარკვევათ მოიწვია როგორც სახ. უნივერ. გამგეობის წარმომადგენელნი, ისე სახ. უნ. არსებული სექციის, ახალი წრის გამგეობის, სცენის მოყვარეები და აგრეთვე პრესის წარმომადგენელნი. პრესის წარმომადგენელთ კამათში მონაწილეობა არ მიუღიათ. მოხსენების დროს ერთი რამ ნათლად გამოირკვა: ის, თუ რა როლს თამაშობდა ახალი წრის დაარსებაში ორი ცნობილი პირი; რაც შეეხება წრის თუ სექციის უპირატესობას—ამას, თქმა არ უნდა, ორივე მხარე თავიანთ შეხედულობის სასარგებლოდ ასაბუთებდენ. კამათმა ღამის პირველ საათამდე გასტანა. ჩვენ იმედი გვქონდა, რომ ეს კითხვა იმავე სხდომაზე გადაწყდებოდა, მაგრამ კამათმა დიდი დრო წაიღო, დრ. საზ. გამგეობამ განაცხადა, რომ კითხვის საბოლოვოთ გადაწყვეტა მეორე დღისთვის გადასდო.

◆ **ჯილდო.** ყაზანის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი, მოსე შანიძე, როგორც გვატყობინებენ, უნივერსიტეტის გამგეობას ოქროს მედლით დაუჯილდოებია შემდეგ თხზულების დაწერისათვის—„რუსეთის ცენზურის ისტორია“

◆ **წ. კ. საზოგადოების წევრთა წლიური კრება** ნ. გაბუნია ცაგარლის იუბილეის გამო 6 დეკემბერს მოხდება.

◆ **თფილისის სანიტარულ კომისიებს** ბევრ ადგილას ოქმები შეუდგენია და პასუხის გებაში მიუცია სასმელ-საჭმელის დუქნების მეპატრონეები, რადგან მათ სამზარეულოებში ბევრი ცუდი და საეჭვო საჭმელები უპოვიათ.

◆ **წარმოდგენების აკრძალვა.** პოლიცმეისტერმა განკარგულება მოახდინა, რომ დღეს, 20 ნოემბერს საღამოს ყოველგვარი წარმოდგენები თეატრებში თუ თეატრებს გარეთ, აკრძალულია, იმის გამო, რომ შემდეგი დღე დიდი უქმეა: მარიამის ტაძრათ მიყვანება.

◆ **საქართველოს საექსარხოსო.** კავკასიის ნამესტნიკის მოხსენების გავლენით უმაღლეს სფერებში საქართველოს საექსარხოსოს შესახებ აზრი შეიცვალეს. ნამესტნიკი ამტკიცებდა, რომ საიმპერიო პოლიტიკაში საექსარხოსოს არსებობა არავითარ შიშს არ წარმოადგენსო. ნამესტნიკის აზრს მხარს უჭერდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე სტოლიპინიც. განზრახვა აქვთ, საქართველოს ექსარხოსის ადგილას ტამბოვის ეპისკოპოსი ინოკენტი დანიშნონ. („ზ“)

◆ **ნამესტნიკის ახალი თანაშემწე სენატორი ვატაცი** ამ დღეებში დაათვალიერებს ქალაქის წყლის საყვანს და საზოგადოთ ქალაქის ყველა დაწესებულებებს.

◆ **წერა-კითხვ. გამავრცელ. საზოზოგადოების** მთავარ გამგეობის უკანასკნელ სხდომაზე გადაწყვიტეს: მიღებულ იქნას პ. სურგულაძის განცხადება მწიგნობრის სექციის დაარსების შესახებ და ამ საქმის მოწყობა თვით პ. სურგულაძეს მიანდვეს. ამის შემდეგ გაირჩა საკითხი თფილისში არსებულ „ქალთა წრის“ წ. კ. გამგეობასთან დამოკიდულების შესახებ; დაადგინეს: „ქალთა წრე“-ს სახელათ დაერქვას „ქალთა კომისია“, რომელიც ხელს შეუწყობს წ. კ. საზოგადოების მდგომარეობის გაუმჯობესობას.

◆ **დარჩენილი გადასახადები.** გუბერნატორმა წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას, რათა მან დააჩქაროს გადახდა ქალაქის პოლიციის შესანახი დარჩენილ გადასახადებისა. ქალაქის გამგეობამ აცნობა გუბერნატორს, რომ ქალაქის დარჩენილი გადასახადები და ჯარიმა შეადგენს სულ 471,950 მანეთს. ამასთანავე ისიც აცნობა, რომ თფილისის მთავრობის დაწესებულებებს მართებს ქალაქის ვალი 546,738 მ. და თხოვს გუბერნატორს ამ ვალში მიიღოს ქალაქის გადასახადი ფული. დანარჩენი კი ქალაქს დაუბრუნოს.

◆ **მუხრანის ხიდი.** მუხრანის ხიდზე მუშაობა მთავრდება. 1910 წ. პირველ იანვარს ხიდზე მოძრაობა დაიწყება.

◆ **პოლიცმეისტერმა განკარგულება** მოახდინა, რომ დაბალი მოსამსახურე პოლიციელები ქუდზე ხელის მიტანით სალამს აძლევდენ სასამართლოს მოსამსახურეებს, თავიანთ ამხანაგებს და საზოგადოთ, ზრდილობიანათ ეპყრობოდენ კერძო პირებსაც.

◆ **აბანოების დათვალიერება.** ქალაქის სანიტარულმა კომისიამ დაათვალიერა თფილისის ყველა აბანოები და სანიტარული მხრივ ყველგან კარგი პირობები აღნიშნა.

◆ **შეპყრობა.** 18 ნოემბერს ჩხრეკის დროს პოლიციამ შეიპყრო ადმინისტრატიული წესით გადასახლებული და თავის ნებით დაბრუნებული ახალ-ქალაქის მცხოვრები ალ. ერჩიკოვი, რომელსაც სამართალში აძლევენ.

◆ **სახალხო სახლი.** შაბათს, 21 ნოემბერს, ა. ი. მალხაზოვის მიერ სახალხო სახლში წაკითხულ იქნება ლექცია შემდეგ თემაზე: „ორგვარი მიმდინარეობა რუსულ ლიტერატურაში (სოფელი და ქალაქი) რადგან ეს ლექცია 14 ნოემბერს არ შესდგა, ამ დღისთვის ნაყიდი ბილეთი 21 ნოემბერს გამოდგება. ბილეთების ფასი 15—50 კ.

◆ **კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს** გეგმა შეუდგენია, გაიხსნას თფილისში 8 კლასიანი საშუალო სამრეწველო სასწავლებელი.

◆ **ტუაპსის სამეურნეო სასწავლებელში** სამიწათმოქმედო დეპარტამენტის მიერ დაინიშნა მეღვინოების, მევენახეებისა და მებაღეობის ინსტრუქტორი.

◆ **თფილ. საკომერციო სასწავლებლის დირექტორს** გუბერნატორმა ნება დართო წარმოდგენა გამართოს 27 ნოემბერს ხსენებული სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოთ.

◆ **საქველმოქმედო წარმოდგენა.** კვირას, 22 ნოემბერს „თფილისის საკრებულოს“ დარბაზში გაიმართება საღამო თფილისის საფერშლო სკოლის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოთ.

◆ **ახალი წესები.** კავკასიის უმაღლეს მთავრობას თფილისის გუბერნატორმა დასამტკიცებლათ წარუდგინა ქალაქის გამგეობის მიერ შემუშავებული წესები, იმის შასხებ, თუ როგორ უნდა სარგებლობდენ მკითხველები ქალაქში არსებულ ბიბლიოთეკა-სამკითხველოებით.

◆ **მეურნეთა ექსკურსია.** კავკასიის მეურნეთა სიეზდის წევრთ, რომელნიც ამ ჟამათ თფილისში იმყოფებიან, განუზრახავთ ექსკურსია მოახდინონ ბათუმისაკენ. 24 ნოემბერს ბათუმში ისინი ინახულებენ სასოფლო ნაწარმოებთა გამოფენას, რომელიც გაიმართება ადგილობრივი მეურნეთა საზოგადოების ინიციატივით ბათუმის სავაჟო გიმნაზიაში 20 ნოემბერს და გაგრძელდება 24 ნოემბრამდე.

◆ **სამრეწველო განათლება კავკასიაში.** კავკასიის სამოსწავლო უმაღლეს მთავრობას განუზრახავს გახსნას კავკასიის სხვა და სხვა ადგილებში 6 სამრეწველო-სატეხნიკო სასწავლებელი: ქუთაისში, თფილისში, სოხუმში და სხვაგან.

◆ **ქართული საღამო ხარკოვში.** ხარკოვში მცხოვრებ ქართველებს განუზრახავთ 11 დეკემბერს გამართონ ქართული საღამო. საღამოს გამგეთ პეტერბურგიდან სტ. ფოცხვერაშვილი მიუწვევიათ.

◆ **ჩხრეკა და დაპატიმრება.** 18 ნოემბერს ჩხრეკის დროს დააპატიმრეს 31 უპასპორტო.

◆ **ს. ჭანჭათიდან** (გურია) ქ-ნი გისიტო-ძისა ამხანაგების მონდობილობით გვთხოვს გამოვაცხადოთ ხსენებულ სოფლიდან სხვაგან გასულთა საყურადღებოთ შემდეგი: თითქმის ნახევარ წელზე მეტია, რაც ამ სოფელში ზოგიერთ ახალგაზდების თაოსნობით დაარსდა სასოფლო ფოსტა, რომელიც კერძო შემოწირულებით ინახებოდა, რომელსაც ყოველდღიურათ დაქვს წერილები თუ გაზეთები სად. ნიგოითიდან ჭანჭათში და ჭანჭათიდან ნიგოითში. ამ ჟამათ ფოსტა უსახსრობის გამო გაჭირვებულ მდგომარეობაშია და თუ დროზე ნივთიერი დახმარება არ აღმოუჩინეს ამ ფრიად სასარგებლო დაწესებულებას, მოსალოდნელია მისი სრულიად მოსპობა. დახმარება შეიძლება გამოიგზავნოს ამ ადრესით: М. Ланчхуты, сел. Ченчаты Акетскаго общества Саба Гогуадзе

## პატარა ფელეტონი

### ქალის წერილი

დღემდე კანონი ამბობდა:

— რაც აკრძალული არაა,—ნება დართულია.

ახლა სენატმა გადასწყვიტა კანონმდებლობაში ახალი პრინციპის შეტანა:

— რაც ნებადართული არაა,—მაშასადამე, აკრძალულია.

კანონში არსად არ არის მოხსენებული, რომ ნებადართულია ქალი დამცველათ გამოვიდესო. აშკარაა, ქალის ვექილობა აკრძალულია.

კეთილი!

მაგრამ ერთი ეს ვიკითხოთ, რომელ ადგილას ამბობს კანონი, რომ—ნებადართულია

ქალები ხაბაზის, ძიძის, მრეცხავის, ხელზე მოსამსახურის, აქტრისის, კანტორის გამგის, მწერლის და სხვა ამნაირ თანამდებობას ასრულებდესო?

ერთიც ვნახოთ და...

— მწერალი ქალები,—იტყვით თქვენ მამაკაცები,—ეს დიდი უბედურება არ არის?

მაგრამ ერთიც ვნახოთ და ხაბაზებმა, ძიძებმა, მრეცხავებმა, აქტრისებმა ერთ მშვენიერ დღეს „გაფიცვა“ გამოაცხადეს?!

ხაბაზები, ძიძები, მრეცხავები, აქტრისები, ე. ი. ჩვენ, ყველა ქალები ხომ სახუმრო საქმეს არ ჩავდივართ! ჩვენ ხომ კანონით ნებადაურთველ საქმეებს ვასრულებთ!

სენატის გადაწყვეტილებით, ჩვენ ვასრულებთ:

— აკრძალულ საქმეებს!

ჩვენ მხოლოდ ერთი-ღა დაგვრჩენია:

— გავიფიცოთ, სენატის განმარტების თანახმათ.

ეს გაფიცვა გაცილებით უფრო საშიში იქნება, ვინემ გაფიცვა „პროკურორთა სხიმნიკების“, რომელთაც ქალთა კორსაჟის (ტანისამოსის ზემო ნაწილია) დანახვა ისე აფეთებს, როგორც ხარს წითელი მაუდი.

სენატორმა X-მა თანამოაზრეებთან ერთათ გადასწყვიტა, ქალებს ნება არ მიეცეთ ვექილობისა და მშვენიერი სულიერი განწყობილებით სახლში ბრუნდება:

— სადილისათვის!

მზარეულმა ქალმა არ დაამზადა სადილი.

— რატომ?

— უკანონო საქმე გახლავთ, ბატონო, სადილის დამზადება. სულ ერთია—გინდა ყუმბარა გისვრია და გინდა სადილი დაგიმზადებია. კანონში არ გახლავს მოხსენებული, რომ ქალებს ნება დართული აქვთ სადილის დამზადებაო.

ეშმაკმა დასწყევლოს მზარეული ქალის თავი და ტანი!

— დღეს სენატის გადაწყვეტილების თანახმათ უსადილოთ უნდა დავრჩე.

ხვალ მზარეული კაცი უნდა ავიყვანო. მამაკაცსაც არ აქვს კანონით ნებადართული სადილის გაკეთება, მაგრამ მამაკაცები უფრო გაბედულები არიან. ისინი ცოლქმრულ კავშირში დაეჩვიენ „კანონის დარღვევას“.

— ჩექმებით!

მოსამსახურე წავიდა.

— კანონით ნებადართული არ არის.

ესეც არაფერია. ისევ მამაკაცის შოვა შეიძლება.

მაგრამ ძიძას რაღა ეშმაკი ეშველება... სენატორები ხომ ბედნიერები არიან—თითო მათგანს დიუჟინი ბავშვი ყავს. „მამაკაცს“ ხომ ვერ აიყვან ბავშვებისთვის ძიძათ!

ამას გაართმევ თავს, თუ აუარებელ სამუშაოს.

ბევრი რამაა აკრძალული, მაგრამ მილიარდ ნებადართულ საგანს მაინც ერთი ნებადაურთველი უწევს.

დღემდე კანონებში ჩამოთვლილი იყო მხოლოდ ის, რაც ნება-დაურთველი იყო. ისიც კი აღარ იცი, თუ კანონები სად დააწყო, ისე გამრავლდა.

ახლა ინებეთ ახალი კანონის შედგენა და შიგ ჩამოთვალეთ, ყოველი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ, ყველაფერი:

— რაც ადამიანისათვის ნებადართულია.

„ადამიანს ნება დართული აქვს ჭამა“.

„ადამიანს ნება დართული აქვს სუნთქვა“.

„შეუძლია სმა“.

„აკრძალული არა აქვს ძილი“.

ისეთი კანონების გროვა დადგება, რომ მასთან შედარებით ხეოპსის პირამიდებიც არაფერი გამოჩნდება...

თქვენ იცით, მე რისა მეშინია.

მე ვშიშობ, რომ ბ. სენატორები „დამებივით“ მსჯელობენ.

მე კი,—რომელიც ვამბობ ქალებს სადილის კეთება აქვთ აკრძალული-მეთქი,—ისე ვმსჯელობ, როგორც ნამდვილი სენატორი.

დააკვირდით აბა, თუ ასე არ იყოს!..

(„რ. ს.“) **ქალი**

## ცრემლები

სხვის ხედვიდან ჩემი ცრემლი
მოვიპარო მინდა მარად,
ცას და მიწას არავინ ჰყავს,
ჩემს გარდა მის მეგობრათ!
მეც არავინ შემრჩენია
საიდუმლო უთხრა გულის,
ძნელი არის ალსარება
არა ერთხელ გაცემულის!
და როს ტანჯვა აღარ მტოვებს
ჩემს გულში აქვს ისევ ბუდე,
მე კი მინდა დავეუფლო
დავუნგრიო იმას ზღუდე;
როცა ბრძოლა დღემდე მარად
ბოლოვდება ჩემის ვნებით,
და ერთი დღის დასასრულიც
არ მქონია გემოვნებით,
ცრემლებს მაშინ მოვუხმობ მაშინ
ვეღარ ვტყუებ მწუხარ თვალებს,
ვსტირი მაგრამ იმ ტირილით
დე ნურავინ შემიბრალებს!
კაცის ნაცვლათ გულის ვარამს
უზიარებს ცრემლებს ვანდობ,
მისთვის მინდა მათთან მარტო
ვიყო, როცა ვწუხვარ, ვდარდობ!..

**რ. ღეჩხუმელი.**

## ვერა

პეტროვსკის ქუჩის ზემოთ (სომხების სასაფლაოს გვერდით) მდებარეობს ერთი უბანი, რომელიც ახლა შენდება (თუმცა ძველი მოსახლენიც არიან). ამ უბნის მიწა-ადგილები ეკუთვნის შემდეგ პირებს: ხერხეულიძეს, ბაბანოვს, თაიროვს, მაკაროვს და სხვებს. ამათგან იძენს სამოსახლო მიწებს ჩვენი ღარიბი ხალხი, მარა ამნაირ შეძენას არ შეძენა სჯობია: არც მიწების გამყიდველებს ესმით რას ყიდიან და არც მყიდველებს—რას ყიდულობენ და არიან ერთ ვაი უბედურობაში და ვაი-ვაგლახში; თითონაც არ ესმით როგორ მოიზომეს მიწები და ზოგი ზედ გზაზე აშენებს სახლს, სამზარეულოს, სარაიას და სხვ. წარმოიდგინეთ, ნაბიჯით გაზომილი ადგილი და ქუჩა რა უნდა იყოს! თუმცა როდესაც ჩვენ, ამ უბნის მცხოვრებლები, ვყიდულობთ მიწებს, წინადადება მივეცით მიწის პატრონებს, რომ ქუჩები დაეგეგმათ და ისე მოეზომათ ჩვენთვის ადგილები, მაგრამ მათ ნაბიჯით დაგვიზომეს და გვითხრეს: აი ეს ექვსი საჟენი ქუჩა იქნებაო და სხ. რა თქმა უნდა, ჩვენ არ დავეთანხმდით არშინ-ნახევრიან ნაბიჯით გადაზომილს და მოვთხოვეთ წესიერათ გაზომვა, პატრონები წავიდენ და მოიყვანეს ვიღაც „კაკარდიანი“ და გვითხრეს: ეს ინჟენერიაო და მოგიზომავთ ადგილებს, ქუჩებსაც თავის რიგზე დაპლანავსო და სხვა, მაგრამ როგორც მე ჩინური ენა არ ვიცი, ისე იმ კაკარდიანმა ინჟენერობა არ იცოდა და ვერც გააკეთა რამე. ესე ვართ უგზო-უკვლოთ დარჩენილები. ამ უგზოობის და ქუჩების გაუწესრიგობის გამო ლამის ერთი-მეორე ამოვჟლიტოთ. აი მაგალითად: კვირას, 15 ნოემბერს, 1909 წ. დაერია მთელი უბანი ერთი მეორეს და კინაღამ სამი-ოთხი კაცი არ მოკვდა. თუმცა ჩხუბი და აყალმაყალი წინათაც ხდებოდა, მაგრამ ამ ბოლო დროს მწვავე ხასიათი მიიღო და თუ ამ გარემოებას ყურადღება არ მიექცა, უბედურება დატრიალდება. ჩვენ რამდენჯერმე მივმართეთ მემამულეებს, მაგრამ არაფერი გამოდნა და ვართ ასე ღვთის ანაბარათ დარჩენილები. ქალაქის გამგეობას მხოლოდ გადასახადების აკრების დროს ვახსოვართ. ვთხოვ პატივცემულ გულშემატკივართ, რომ ყურადღება მიაქციონ ამ ფრიად სამწუხარო გარემოებას და თავიდან აგვაცდინონ ძმათა სისხლის ღვრა.

**დურგალი ტატო.**

## ღია წერილი

### გაზ. „დროების“ რედაქციას

გაზ. „მომავლის“ 53 ნომერში იყო დასტამბული შავი ქვის მრეწველ ასოციაციის ბიუროს წერილი, რომლითაც მოხსენებული ბიურო იწვევდა „დროების“ კორესპონდენტს ბ. „ჭიათურელს“ სამედიატორო სამართალში იმ კორესპონდენციის გამო, რომელიც იყო მოთავსებული „დროების“ 227 ნომერში და რომელშიაც ბ-ნი „ჭიათურელი“ ბრალს სდებდა ასსოციაციის წარმომადგენელთ მასში, რომ, ვითომც, უკანასკნელნი, წინააღმდეგ შავი ქვის წვრილ მრეწველთ ინტერესებისა, მხარს უჭერდენ საზღვარ-გარეთელ ექსპორტიორებს.

ვინაიდან ბ. „ჭიათურელმა“ საჭიროდ არ სცნო მოხსენებულ გამოწვევაზე პასუხის მიცემა და მასთან „დროების“ რედაქციაც სდუმს ამის შესახებ, ამისათვის ასსოციაციის ბიურო იძულებული გახდა სამედიატორო სამართალში გამოიწვიოს თვით მოხსენებული რედაქცია, რათა ამ საშუალებით მაინც აღადგინოს ჭეშმარიტება და საქვეყნოდ გამოაშკარავოს ბ. „ჭიათურელის“ ცილის წამება.

ბიუროს მიერ მედიატორები იქნებიან დასახელებული მას შემდეგ, როდესაც „დროების“ რედაქცია მიიღებს ამ გამოწვევას.

შავი ქვის მრეწ. ასსოც. ბიუროს დირექტორი. **ალ გამრეკელი.**

### ბ. ს. ტოროშელიძეს.

ჩვენ მიერ მედიატორის დასახელება ცოტათი დაგვიანდა, მარა ამის მიზეზი ის იყო, რომ ჩვენ ვუცდიდით ბ. სვირელისაგან პასუხს—გვიწვევდა თუ არა ისიც სამართალში. დასამტკიცებლათ ყველა იმ ბრალდებებისა, რომელიც ჩვენ მის წინააღმდეგ წამოვაყენეთ. ბ. სვირელის პასუხი მხოლოდ გუშინ დაიბეჭდა, რითაც ის გვატყობინებს, რომ მას არ სურს ჩვენი სამართალში გაწვევა. ცხადია, მას არა აქვს არავითარი გასამართლებელი საბუთი. ამიტომ ყველა ის ბრალდებები, რომელიც ჩვენ მის წინააღმდეგ წამოვაყენეთ, უკვე დამტკიცებულათ მიგვაჩნია. ახლა სასამართლო უნდა შედგეს ჩვენ შორის. თქვენ უკვე გყავს დასახელებული მედიატორეთ პეტრე გელეიშვილი. ჩვენ ჩვენი მხრით ვასახელეთ ერასტო ტოროტაძეს. ესენი აირჩევენ თავმჯდომარეს და მათი განაჩენი, თქმა არ უნდა, გამოცხადებული იქნება გაზეთებში.

მეგობარი და იკა.

## პროვინცია

**ს. ახალდაბა** (ბორჯ. ხეობა). ამ ორი თვის წინათ აქ ჩამოაყენეს დარაჯთა რაზმი ერთი ურიადნიკ მეთაურობით. აუწერელია ის ტანჯვა-წვალება, რაც ურიადნიკმა მიაყენა ხალხს. ცემა-ტყეპა, დატუსაღება და ქრთამების აღება ყოველდღიურ მოვლენათ გადაიქცა. ურიადნიკის ბრძანებით სოფლის მოხელეები ოფიციალურათ კრეფდენ სოფლებში ურიადნიკის დასაკმაყოფილებელ ფულებს. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ურიადნიკის საგმირო საქმეების გამოსაძიებლათ სურამის ბოქაული მოვიდა აქ. ის შეეკითხა გლეხებს, რომლებმაც ყველაფერი უამბეს, თუ როგორ ავიწროებდა მათ ურიადნიკი. შემდეგ ამისა ურიადნიკი სამსახურიდან გადააყენეს, დარაჯები კი ისევ დასტოვეს და ისინიც შეუდგენ შურის ძიებას. აცნობეს მთავრობას, რომ გლეხები ყაჩაღებს ინახავენო და ამას ის შედეგი მოყვა, რომ გამოგვიგზავნეს მთავრობის მამასახლისი ორი დარაჯით. მათი შენახვა თვეში უჯდება გლეხებს 140—150 მ. მამასახლისმა მოსვლისათანავე ექვსი თვის ფული ერთათ გააწერა ხალხს. თვითეულ მოსახლეს შეხვდა 7—8 მანეთი გადასახადი.

აქაური გლეხები სახელმწიფო და დიდი მთავრის მიწებზე სცხოვრობენ. ადგილები უმთავრესათ მთა-გორიანია და ქირნახული ნაკლები მოდის, ამიტომ მთელი წლის განმავლობაში ყიდულობენ სარჩოს. ორიოდ გროში კი, რომელსაც ხე-ტყის გაზიდვით შოულობენ, გადასახადებს უნდება და თვითონ მშივრები რჩებიან. ასეთ უმწეო მდგომარეობაშია აქაური გლეხობა და არ იციან ვის მიმართონ.

ქიამილ ეფენდი.

—

**ყვირილა.** გიორგაძის ლექცია. 15 ნოემბერს, დღის 4 საათზე, ადგილობრივ საზოგადო საკრებულო დარბაზში გრიგოლ გიორგაძემ წაიკითხა საჯარო ლექცია შემდეგ თემაზე: „ერობა, მისი ისტორია, კომპეტენცია, მნიშვნელობა და სასურველი რეფორმა“. ლექტორმა მოკლეთ განმარტა თავის ლექციაში ისტორია ერობათა დაწესებულებების ინსტიტუტის აღორძინებისა რუსეთში, 60-ნი წლების მოძრაობის მიმოხილვა, ბატონყმობის გაუქმება, გაარჩია 1864 წლის დებულება, მისი ღირსება-ნაკლულევანება, შეეხო დასავლეთ ევროპის თვითმართველობათა ინსტიტუტის დაწესებულებებს, 1890 წლის დებულების შემოღებას რუსეთში, მის ნაკლულევანებას. გაარჩია ნამესტნიკის კანონ-პროექტი და ამასთან ერთათ განიხილა თფილისის და ქუთაისის თათბირის რეზოლიუციები, აღნიშნა ამ რეზოლიუციების დადებითი და უარყოფითი მხარეები. ლექტორი დიდხანს შეჩერდა ქუთაისის თათბირზე და ხაზი გაუსვა ნ. ნიკოლაძის წყალობით გაუვანილ ზოგიერთ ხალხის ინტერ მავნებელ ტეზისებს, როგორც მაგალითად, საერობო წვრილ ერთეულის ორგანოში ორი ფუნქციის მოთავსება—პოლიციურისა და ერობის (მეურნეობისა და სხ.) უმცირესობის უზრუნველყოფა საერობო არჩევნებში და სხვა.

ლექციამ დიდძალი საზოგადოება მიიზიდა. ლექტორი მრავალი ტაშისცემით დააჯილდოვეს. უნდა სიამოვნებით აღინიშნოს, რომ ბ-ნმა გიორგაძემ თავის ლექცია ხალხისათვის გასაგებათ წაიკითხა. მთელი შემოსავალი ლექციისა გადადებულია ადგილობრივ წერა-კითხ.

საზ. განუოფილების საშუალ. გასაძლიერებლათ.

გინ.

**ოზურგეთი.** 12 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, როცა ადგილობრივი ტაძრის წინამძღოლი დეკანოზი დ. ღუმბაძე ცხენით მიდიოდა, მას წინ ეტლი დაეჯახა და ძალზე დაამტვრია მარცხენა ფეხში. ის ადგილობრივ მე-2 პლასტუნთა ბატალიონის სამხედრო „ჰოსპიტალში“ მოათავსეს. ოპერაციის გათავების შემდეგ, როგორც გადმოგვცეს, ის უკეთ გრძნობს თავს.

— ამავე დღეს სოფ. გომში ერთი გულშემზარავი მკვლელობა მოხდა. ამ დღეს ადგილობრივ მცხოვრებს კოსტა მეგრელს ქორწილი ქონია, რის შემდეგ ღამეზე შეზარხოშებულთ დ. მამაკაიშვილს და ამ. ლეჟავას ადგილის შესახებ დაბარაკი მოსვლიათ. ლეჟავას წაუქცევია მამაკაიშვილი და ცემა დაუწყია. დაუნანავს თუ არა ეს ლეჟავას შვილს, გამოქცეულა და დანით ყელი გამოუჭრია მამაკაიშვილისთვის. მკვლელები დაიმალნენ. მამაკაიშვილს დარჩენია ცოლი და მცირე წლოვანი შვილები.

— ქალაქის წიგნთ-საცავ სამკითხველო დღეს ფაქტიურათ აღარ მოქმედებს, აგერ ათი დღეა, რაც გაზეთები აღარ მოდის და არც ჩვენი გამგეობა იწუხებს ამის გამო თავს.

დროა გამგეობამ მოიწვიოს საზოგადო კრება და გააცნოს მათ სამკითხველოს მდგომარეობა და მიიღონ ზომები განაახლონ სამკითხველოს მოქმედება.

ქაფშე.

—

**გურია.** საეკლესიო დღესასწაულები სოფლათ კვლავ ის ძალაში შედის. ამ ორი-სამი წლის წინათ ხალხმა ის საზარალო სცნო და უარყო, თვითეულ სოფლის მცხოვრებლებს, თავისი ეკლესიის დღესასწაულის წინა დღეებში, გამოქონდათ ეროვნებზე საერთო დადგენილება და აცხადებდენ გაზეთებში, რომ „ამ დღისთვის არავითარი მზადება არ გვექნება და ვსთხოვთ ნათესავ-ნაცნობებს ნუ გვესტუმრებიანო“, მაგრამ თურმე დროებითი იყო. ამას წინათ გაზეთში იყო მოყვანილი ცნობა იმის შესახებ, თუ რამდენი ეხარჯება საქართველოს სხვადასხვა ნაწილებს ასეთ საეკლესიო დღესასწაულებში და რის გაკეთება შეიძლება სოფლებში იმ ხარჯებით. სოფელი, რომელიც სიღარიბის გამო ვერ ახერხებს პირველდაწყებითი სკოლის გახსნას, რომ თავის ბავშვებს წერა-კითხვა ასწავლოს, რამოდენიმე ას მანეთს ხარჯავს ერთ დღეს ტყუილა-უბრალოთ. ამ დღეებში, მაგალითად იდღესასწაულეს მთავარ-ანგელოზობა გურიის ორ მეზობელ სოფლებში: ერკეთში და იანოულში. ამ სოფლების თვითოეულმა ოჯახმა ერთი-მეორეზე დახარჯა იმ დღეს ათი მანეთი ფული. ასე იქცევიან ესენი ყოველ წლობით; ამ ფულებით ხომ ერთი კარგი მასწავლებლის მოწვევა შეიძლებოდა! დროა ხალხმა შეიგნოს ასეთი დღესასწაულების უსარგებლობა და იმაში დახარჯული ფულები მოიხმაროს ისეთ კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულების დასაარსებლათ, როგორიც არის სკოლა, ბიბლიოთეკა-სამკითხველო თეატრი და სხვა.

„შვიდობაურელი.“

—

**ს. ავჭალა.** ვაის გავეყარე და ვუის შევეყარეო, რომ იტყვიან სწორეთ ჩვენ მოგვივიდა. გვყავდა წინათ მთავრობის მამასახლისი, რომელიც გადააყენეს და მის მაგიერ დაგვინიშნეს სერგო ისკანდეროვი. მოსვლისთანავე მან დაითხოვა ძველი მწერლები და მათ მაგივრათ მოიყვანა ახალი—ტერ-ოგანეზოვი და ორივე ერთათ ხელი ხელ ჩაკიდებულნი შეუდგა თავიანთ საქმეს.

ამ დღეებში როცა ის ქორწილიდან ბრუნდებოდა, ს. გლდანის ახლო თავს დაესხა 8 შეიარაღებული ყაჩაღი და სროლის დროს მოჰკლეს მამასახლისის ცხენი და თვითონ კი უვნებლათ გადარჩა. გაჯავრებული მამასახლისი დაერია სოფლის მებადეებს და შავი დღე დააყენა. შემდეგ დაატუსაღა ორმოცამდის მებადე და თავპირის მტვრევით ჩამორეკა კანცელარიაში. რაც გზაში დააკლდა, ის ქვემო ავჭალას შეუსრულდა. რამდენიმე მათგანი დღესაც დოგანაშია. წაართვა მებადეებს რაც რამ ებადათ ორიოდ გროში.

16 ნოემბერს ამ საქმეზე მობრძანდა მომრიგებელი შუამავალი პავლოვი და მაზრის უფროსისაგან ამავე საქმეზე დანიშნული ურიადნიკი გველესიანი. ცხენის გამოძიების დროს აღმოჩნდა, რომ ტყვია მოხვედრილი აქვს ზევიდან ბეჭში. ამნაირათ დამტკიცდა, რომ ყაჩაღები თურმე ჭაერიდან ესროდენ და ისიც მაუზერის რევოლვერით, რომელიც მამასახლისს ქონდა. კომლზე კაცი იყო მოწვეული. მომრიგებელი შუამავალი შეეკითხა ხალხს რა ქონდათ საჩივარი. ჯერ მებადეებმა მოითხოვეს თავიანთი ფული, რომელზედაც მამასახლისმა ცივი უარი განაცხადა, მაგრამ მოწმეები პირში წაუდგენ და მერე თქვა, რომ შვიდი თუმანი მწერალ ტერ-ოგანეზოვს მივეციო, და დანარჩენზე მაინც უარს დაადგა, მწერალმა თავისი მხრით უარი განაცხადა, ფული მე არა მაქვსო, ამის შემდეგ სოფლის ამორჩეული კომისია მომრიგებელ შუამავლის თანადასწრებით შეუდგა სოფლის ანგარიშების გასწორებას. მამასახლისთან აღმოჩნდა გაფლანგული სოფლის 26 მ. 27 კ. კერძო პირების 96 მან. და დიდი სიყალბე ბარათების გაცემაში და ფულების მიღებაში. ამის შემდეგ მამასახლისს ჩამოართვეს ჯაჭვი და ბეჭედი და მასთან თავის საკუთარი მაუზერის რევოლვერი, შეადგინეს ოქმი და დაატუსაღეს. დატუსაღებს მწერალი ტერ-ოგანეზოვი ხალხმა სთხოვა მომრიგებელ შუამავალს, რომ ძველი მწერლები ისევ მიეღო. მომრიგებელ შუამავალმაც ისინი მიიღო.

ავჭალელი.

## მუშათა შორის

**კავკასიის პარიკმახერთა პირველი ამხანაგობა.** თუ დღეს საზოგადოთ ყველა ხაზეინებმა თავი წამოყვეს და დროსა და გარემოების მიხედვით მოინდომეს საბოლოოთ მუშათა ყოველივე უფლებების ფეხ-ქვეშ გათელვა, პარიკმახერებიც არ ჩამორჩენ მათ და კვირა-უქმე დღეებში მუშაობა შემოიღო! აი რა უფრთხობდა მათ ძილს. მათი მყუდროება დაარღვია ამ თავსატეხმა საკითხმა. ბოლოს, როგორც იქნა მიაღწიეს მიზანს. აუსრულდათ დიდი ხნის სურვილი. ამით წათამამებულ ხაზეინებს მუშები ბუზებათ აღარ უჩანთ თვალში. ისინი მათში ადამიანებს აღარ ხედავენ. ლანძღვა-გინება, უდიერი მოპყრობა და უმიზეზოთ დათხოვნა ყოველ დღიურ მოვლენათ გადაიქცა. ამ მხრით ყველას გადააჭარბა კავკასიის პარიკმახერთა პირველმა ამხანაგობამ. ეს ვაჟბატონები არაფრის წინ არ იხევენ, ოღონდ კი მუშები შეავიწროონ. ამას წინათ ისინი შეპირდენ მუშებს ზამთარში ჯამაგირს მოგიმატებთო. დადგა ზამთარი და ჯამაგირის მაგიერ ქუჩისკენ უთითებენ. ხელს. გინდათ იმუშავეთ ძველ ჯამაგირში, არა და მიბრძანდითო. ეხლახან საზღვარ გარეთიდან მობრძანდა ბ-ნი დათიკო. მას აქ დახვდა მისი მარჯვენა ხელი მალ—ტა და მიხო და სამივე ხელი-ხელ ჩაკიდებული შეუდგა საგმირო საქმეებს. დათიკოს ამ უკანასკნელ ხანებში რაღაც ნერვების ავათმყოფობა დასჩემდა, ყოველგან და ყოველთვის გაფიცვა ელანდება თვალ წინ და პოლიციელებით იმუქრება. კვირა-უქმეებში მუშაობის შესახებ ზოგიერმა მომუშავეებმა „ვაჭრობა“ გამართეს ხაზეინებთან და მოსალოდნელია დასთანხმდენ.

ნარი.

## უცხოეთი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

**სპარსეთის მდგომარეობა.**

ინგლისურ გაზ. „ტაიმსი“-ს თეირანელი კორესპონ. ეხება რა სპარსეთის მდგომარეობას კონსტიტუციის აღდგენის შემდეგ სწერს: „შახის ტახტიდან ჩამოგდება ორი ძალის საერთო მოქმედების ნაყოფი იყო, თუმცა ამ ძალებს არსებითად ბევრი საერთო არა ჰქონდა რა. ერთი მხრით შახზე გაილაშქრეს ბახტიარებმა სარდარ ასადის ხელმძღვანელობით, მეორე მხრით—რეშტის ნაციონალისტებმა სეპეხდარის წინამძღოლობით. თითონ, ბახტიარების ბელადი—სერდარ-ასადი საკმაოთ განათლებული და ჭკვიანი კაცია, მარა თვით ბახტიარები ნახევრათ ველური ტომია, რომელსაც კონსტიტუციის მნიშვნელობა ნაკლებათ ესმის. მათი იდეალი—პატრიარქალური წეს-წყობილებაა. მეტი სახნავ-სათესი მიწა და ბევრი ხვადაგი, აი მათი იდეალი. რადგან მათთვის მუდამ ერთნაირი ცხოვრება მომაბეზრებელია, ხშირათ ყაჩაღობასაც სჩადიან, რომ ამით ცხოვრების „ერთგვარობა“ მოსპონ. სულ სხვა ხალხია ადერბეიჯანის შეიარაღებული ფიდაები: ესენი რწმენის ხალხია, მათ კარგათ იციან, რომ უკეთეს სახელმწიფო წეს-წყობილებისათვის იბრძვიან. მათ შორის ბევრი უცხოელია, რომლების შესახებ ხშირათ ხუმრობით ამბობენ, რომ, როცა სპარსეთში საბოლოოთ დამყარდება კონსტიტუციონური წეს-წყობილება, ისინი ჩინეთში წავლენ და იქ დაეხმარებიან კონსტიტუციონალისტებს კონსტიტუციის მოპოვებაშიო. ეს ფიდაები ქალაქის მოწინავე მცხოვრებთ უახლოვდებიან ამა თუ იმ საკითხის შესახებ, განსაკუთრებით ვაჭართა კლასს, თუმცა ისინი გაცილებით უფრო რადიკალები არიან, ვინემ ვაჭრები.“

როგორც ვიცით, როდესაც სეპეხდარი და სარდარ-ასადი თეირანში შევიდენ, ადგილობრივ მცხოვრებთაგან შესდგა კომიტეტი, რომელმაც ეს ორი პირი მინისტრებათ მიიწვია. მთელი ძალა-უფლება ხსენებული კომიტეტის ხელში გადავიდა და მინისტრებს არავითარი უფლებები აღარ ქონდათ, რასაც ვერ შეურიგდენ მინისტრები და ცოტა ხნის მოლაპარაკების შემდეგ კომიტეტი დაკმაყოფილდა მარტო სათათბირო ფუნქციით. ამის შემდეგ სარდარ-ასადი და სეპეხდარი ყოველივე ძალა-უფლებით არიან აღჭურვილნი, რამაც უკანასკნელათ ხალხში ცოტა უკმაყოფილებაც გამოიწვია, მარა მინისტრების პრესტიჟმა ცოტათი აიწია არდებილში რახიმ-ხანის და შახსევანების დამარცხების შემდეგ. იგივე კორესპონდენტი გადმოგვცემს, რომ მეჯლისში გამოცხადებაზე უარს ამბობდენ ხსენებული მინისტრები, ვინაიდან ჩვენი მოვალეობა შევასრულეთ და ამის შემდეგ სხვა პირებიდან შესდგეს მთავრობაო, მარა რეგენტს არ მიუღია მათი სამსახურიდან გასვლის ქაღალდი და მოსალოდნელია მეჯლისმაც მათ ნდობა გამოუცხადოსო.

—

**ბიუჯეტის საკითხი ლორდთა პალატაში.**

როგორც დეპეშებმა გადმოგვცეს, ინგლისის ლორდთა პალატაში უკვე დაიწყო კამათი ბიუჯეტის შესახებ. პალატის პირველ სხდომას ასე აგვიწერენ გაზეთები: ლორდები მრავლათ შეიკრიბენ. ყველა ლოჟები და გალერეა ხალხითაა გაჭედილი. სხდომებს ესწრებიან ყველა ქვეყნის დიპლომატები, სასახლის კარისკაცები, ინგლისის მაღალი წრეების წარმომადგენელნი და სხ. გალერეა მდაბიო ხალხითაა გაჭედილი. ვინც ადგილს ვერ შოულობს დარბაზში, კარებშია გაჩერებული და ელოდება ლორდების მისვლას, რომლებიც თავიანთი ანტი-კონსტიტუციონური მოქმედებით მზათ არიან ბიუჯეტის გასაშავებლათ. ბიუჯეტზე კამათი და მისი შედეგი ეხლა თვით კონსერვატიულ გაზეთებსაც მეტათ სახიფათო ნაბიჯათ მიაჩნიათ ინგლისისათვის. პირველი სხდომა $4^1/_2$ საათზე იხსნება. სამინისტროს წარმომადგენელი, ლორდი კრიუ გულ-გრილ სიტყვას ამბობს და წინადადებას იძლევა მეორეთ კითხვის დროს მიიღონ ბიუჯეტი. პირველათ ლაპარაკობს ლორდი ლენსდოუნი. ის დიდხანს ლაპარაკობს ხრიწიანის ხმით და იცავს მის მიერ წარდგენილ რეზოლიუციას, რომელიც ამბობს, რომ ლორდებს „არ შეუძლიათ“ დაამტკიცონ ბიუჯეტი, სანამ ამის შესახებ წინასწარ არ შეეკითხებიან ამომრჩევლებსო. ის იცავს იმ აზრს, რომ ლორდებს ფორმალური უფლება აქვთ უარყონ ბიუჯეტი. სადგილ-მამულო და სასმელებზე გადასახადი მისი აზრით დიდი უკანონობაა, ამიტომ ლორდებმა უნდა უარყონ ბიუჯეტი. დაბოლოს ის ამბობს, რომ ბიუჯეტის უარყოფის მომხრე ჯერ-ჯერობით არა ვარ, არამედ—ჯერ ნუ გადავწყვეტთ კითხვას, შევეკითხოთ ამომრჩევლებსო და სხ. მას პასუხი გასცა ლორდ-კანცლერმა. მან თავის სიტყვაში საკითხი პირდაპირ კონსტიტუციონურ ნიადაგზე დააყენა. ის შეეხო ლენსდოუნის იმ აზრს, თითქოს ლორდებს ფორმალური უფლება ქონდეთ ბიუჯეტის უარყოფისა და გაარკვია, თუ რა პრაქტიკული შედეგი მოყვება ასეთ ნაბიჯს. მან სთქვა: ამით ლორდთა პალატა ითვისებს სათემო პალატის დათხოვნის უფლებას. დღემდე სათემო პალატის წინაშე პასუხის მგებელი სამინისტრო, ამიერიდან პასუხის მგებელი ხდება აგრეთვე ლორდთა პალატის წინაშეც. თუ ის ფორმალური უფლება, რომელზედაც აქ ილაპარაკეს, პრაქტიკულათ ცხოვრებაში გატარდება, ეს იქნება ინგლისის კონსტიტუციის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი. თუ მომავალ არჩევნებზე ლიბერალები დამარცხდებიან, ამით არაფერი შეიცვლება, ვინაიდან, ყოველი ცოტათ თუ ბევრათ ლიბერალური სამინისტროს მოვალეობა იქნება ანტი-კონსტიტუციონურ აქტებს ებრძოლოს, რომლის მოხდენაც ამ ჟამათ აქვს ზოგიერთებს სახეშიო.

მეორე სხდომაზე სიტყვა წარმოუთქვამს ეგვიპტეს ყოფილ ნამესტნიკს ლორდ კრომერს, რომელსაც ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია. ის მიმართულებით თუმცა კონსერვატორია და წინააღმდეგი დემოკრატიული ბიუჯეტის, მარა იცავს, თუ რა მოყვება ბიუჯეტის გაშავებას და ის წინააღმდეგია მისი უარყოფის. როგორც დეპეშებმა გადმოგვცეს, ამნაირივე აზრი გამოუთქვამს ზოგიერთ სხვა ლორდებსაც და სამღვდელოების წარმომადგენლებს. ასე რომ ხსენებულ საკითხში ლორდებში „ერთსულოვნობა“ აღარ სუფევს.

—

**ახალი პარტია ოსმალეთის პარლამენტში.**

30-ზე მეტმა დეპუტატმა, რომლებიც დღემდე ახალგაზრდა ოსმალთა პარტიაში ირიცხებოდენ, შეადგინეს ახალი ჯგუფი. ამ ჯგუფის მიზანი ყოფილა, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ებრძოლონ ახალგაზრდა ოსმალთა პარტიაში არსებულ შოვინიზმს. ახალი პარტიის ბელადია ხაიდარ-ბეი. იმედი აქვთ, რომ მათ პარტიას შეუერთდება 20 ლიბერალი, 30 არაბი და 23 ბერძენი დეპუტატი; ამ რიგათ, ეს ახალი ჯგუფი სერიოზული ოპოზიციონური ძალა იქნება, რომელსაც ანგარიში უნდა გაუწიოს ახალგაზრდა ოსმალთა პარტიამ. ახალგაზრდა ოსმალთა პარტიაში შარშან 175 დეპუტატი ითვლებოდა, მარა ეხლა ახალი პარტიის შედგენის გამო მათი რიცხვი ასზე ჩამოვიდა. ახალ პარტიასა და ახალგაზრდა ოსმალებს შორის პროგრამაში არც იმდენი განსხვავება ყოფილა. ახალი პარტიის წარმომადგენელნი ამბობენ თურმე: ჩვენ იმიტომ გამოვეყავით, რომ შევადგინოთ ძლიერი ოპოზიცია, რაც პარლამენტის მუშაობას გაანაყოფიერებსო. ასეთი ოპოზიცია კი დღემდე ოსმალეთის პარლამენტში არ ყოფილა.

## წერილები რედაქციის მიმართ

გაზეთ „მომავლის“ № 56 მოთავსებული იყო წერილი ნადიროვის მამულის შესახებ, სადაც ავტორი მისი იაკობ სირაძე ვითომდა თავის თავად შემდგარ კომისიას უმოქმედობას და ხალხის მატყუარობას სწამებს. პირველ ყოვლისა უნდა შევნიშნოთ ბ. სირაძეს, რომ ძალიან კარგს იზავდა ის ჯერ საქმის მდგომარეობას, მის წარსულს და აწმყოს დაახლოვებით მაინც არის გასცნობოდა და შემდეგ გამოეფინა გაზეთის ფურცლებზე თავისი წერილი ნადიროვის მამულის შესახებ; ასე რომ მოქცეულიყო პატივცემული ავტორი, მაშინ ის იმ ყალბ ცნობებს კომისიაზე საჯაროთ არ გამოაქვეყნებდა, არც საზოგადოებას შეიყვანდა შეცდომაში და არც თვითონ გაიხდიდა საბოდიშოთ საქმეს.

ბ. სირაძე კომისიას თავის თავად შემდგარს უწოდებს. ბ. იაკობ, თქვენ რომ ოდნავ მაინც დაახლოვებული ყოფილიყავით საქმესთან, კარგათ გეცოდინებოდათ, რომ კომისია არჩეულია ნადიროვის მამულში მცხოვრებლებისაგან და როგორც მათი წარმომადგენელი დამტკიცებული და ცნობილია ვისგანაც ჯერ არს. კანტორაში ფულის შეტანა და საქმის წარმოებაც იმავე მცხოვრებლებისაგან იყო მონდობილი და მთავრობისაგან ნებადართული და დადასტურებული რაც არა ერთხელ იყო გაზეთებში გამოქვეყნებული. რაღაც ყრუ ეჭვები და ცილის წამებები ფულის შესახებ გამომდინარეობენ და ვრცელდება კომისიის მოწინააღმდეგეთა ბანაკიდან და მათი ამყოლ-დამყოლებისაგან, რომელნიც ცდილობდენ საზოგადოების თვალში კომისია გაეშაონ და ნდობა დაუკარგონ მცხოვრებლებში. შეგროვილი ფული სულ 5600 მანეთამდე იყო. აქედან ერთ აღმასრულებელ ფურცელში 3000 მ. არის დაბანდებული, 2200 მ. ბ. კალატოზოვს აქვს მიღებული ხელშეკრულობის ძალით, დანარჩენის ერთი ნაწილი ფულის პატრონებს აქვთ უკან მიღებული, მეორე ნაწილი საქმის წარმოებაზეა დახარჯული. ასე რომ, აშკარა და მტკნარი სიცრუეა მოწინააღმდეგეთაგან გავრცელებული ჭორები, რომლისთვისაც შორიდან ყური მოუკრავს ბ. იაკობს და გაზეთში ჩაუწერია.

საქმის გაჩერება და კომისიის უმოქმედობა კომისიის პირადი სარგებლობისაგან კი არ არის გამოწვეული, როგორც ეს ბ. სირაძეს ჰგონებია, არამედ საქმის ვითარებისაგან გამომდინარეობენ. მართალია, საჯარო ვაჭრობაზე მამული ბ. კალატოზოვს დარჩა მაგრამ, არტემ ნადიროვი და კომპანია დავას განაგრძობენ და ყველანაირათ ცდილობენ, რომ ვაჭრობა უკანონოთ იქნას აღიარებული. სანამ ეს დავა ბ. ბ. კალატოზოვსა და ნადიროვის შორის საბოლოოთ არ გადაწყდება, ან შეთანხმება-მორიგება არ მოხდება, მანამ კომისია იძულებულია გულ-ხელდაკრეფილი შეჰყუროს და უცადოს დავიდარაბის გათავებას.

ამის შემდეგ თვითონ ბ. სირაძისათვის მიგვინდვია მისივე დაპირება ბოდიშის შესახებ.

ერთი წევრთაგანი.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. მელიქ-შახნაზარიანცი

სტამბა ამხ. „შრომა“. რუსის ქ. № 3